

# კავკასიის უნივერსიტეტი

“ლექტორთათვის პროფესიული  
ეთიკისა და სწავლების ხარის-  
ხის უზრუნველყოფის ინსტრუქ-  
ცია”

2014 წელი

## სარჩევი

<b>თავი პირველი .....</b>	<b>3</b>
აკადემიური პერსონალის პროფესიული საქმიანობის კოდექსი .....	3
<b>თავი მეორე .....</b>	<b>10</b>
საგანმანათლებლო პროგრამა და მისი შედგენის ინსტრუქცია .....	10
ზოგადი მიზანი რომელიც გამომდინარეობს სკოლის მისიიდან და შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, ასევე ითვალისწინებს დარგის სტანდარტებს. (მაქსიმუმ 1 აბზაცი) .....	12
შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია სტუდენტს შესძინოს: .....	12
შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია სტუდენტს გამოუმუშავოს: .....	12
<b>თავი მესამე .....</b>	<b>23</b>
სასწავლო კურსის სილაბუსის ჩარჩო და მისი შევსების ინსტრუქცია..	23
სილაბუსის მომზადებისათვის საჭირო დამხმარე ინფორმაცია! .....	31
<b>თავი მეოთხე .....</b>	<b>42</b>
სასწავლო დისციპლინისათვის კოდის მინიჭების წესი.....	42
<b>თავი მეხუთე .....</b>	<b>46</b>
კრედიტების დაგროვებისა და ტრანსფერის ევროპული სისტემის ECTS-ის შესახებ .....	46
<b>თავი მეექვსე .....</b>	<b>47</b>
კვალიფიკაციის დესკრიპტორები.....	47
<b>თავი მეშვიდე .....</b>	<b>52</b>
სტუდენტის მიერ ლექტორის შეფასების ფორმა .....	52
<b>თავი მერვე .....</b>	<b>55</b>
ლექტორისა და ლექციის შეფასება კოლეგების მიერ .....	55
<b>თავი მეცხრე .....</b>	<b>57</b>
ლექციების განრიგი .....	57

## თავი პირველი

### აკადემიური პერსონალის პროფესიული საქმიანობის კოდექსი

აკადემიურ პერსონალს მიეკუთვნებიან- პროფესორები, ასოცირებული ან ასისტენტ პროფესორები, ასისტენტები და მასწავლებლები, ასევე მოწვეული ლექტორები, რომლებიც მონაწილეობენ ან/და წარმართავენ სასწავლო პროცესსა და მეცნიერულ კვლევებს.

1. აკადემიური პერსონალის პროფესიული საქმიანობის კოდექსის მიზანია კავკასიის უნივერსიტეტში საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილების შესაბამისი სწავლა/სწავლების და კვლევის გარემოს შექმნა, მაღალი მორალური ფასეულობების, სახელმწიფოში მოქმედი სამართლებრივი ნორმებისა და შიდა საუნივერსიტეტო ბრძანებების და სხვა სახის გადაწყვეტილებების განხორციელება და შესრულება.

2. აკადემიური პერსონალის პროფესიული საქმიანობის კოდექსი ადგენს ეთიკისა და საქმიანობის ძირითად პრინციპებს, ქცევის წესებსა და სტანდარტებს, რომლებიც აკადემიურმა პერსონალმა უნდა დაიცვას როგორც სამსახურებრივი მოვალეობის-სწავლებისა და კვლევის, ისე სხვა საქმიანობის განხორციელებისას; ამ კოდექსში მოცემული ნორმების დაცვა სავალდებულოა აკადემიური პერსონალისათვის.

3. აკადემიური პერსონალის პროფესიული საქმიანობის კოდექსი ეფუძნება შემდეგ პრინციპებს:

- კანონმორჩილება;
- პროფესიონალიზმი;
- კომპეტენტურობა;
- კეთილსინდისიერება;
- კოლეგიალობა;
- მომთხოვნელობა;
- ურთიერთპატივისცემა;
- ტრადიციებისადმი პატივისცემა;
- ანგარიშვალდებულება;
- სამართლიანობა;
- სანდობა;
- საქმისადმი ერთგულება;
- გუნდური ერთიანობა;
- პასუხისმგებლობა
- მიუკერძოებლობა;
- უანგარობა;
- ჰუმანიზმი;
- პუნქტუალობა;
- თანაგრძნობა;
- ტოლერანტობა;
- თანასწორობა;

4. აკადემიურ პერსონალს უფლება აქვს:

- მონაწილეობა მიიღოს კურიკულუმის განვითარებასა და დახვეწაში;
- მონაწილეობა მიიღოს აკადემიური პერსონალის შერჩევაში, როგორც საკონკურსო კომისიის წევრმა;
- მონაწილეობა მიიღოს აკადემიური პერსონალის, ადმინისტრაციის, დამხმარე პერსონალისა და სტუდენტების საქმიანობისა და ქცევის კოდექსების დახვეწა-განვითარებაში;
- საუნივერსიტეტო შეკრებებზე თავისუფლად გამოხატოს კრიტიკული აზრი უნივერსიტეტის, სკოლის, საგნის სწავლების და ა.შ. შესახებ;
- მოითხოვოს ადმინისტრაციისაგან სწავლებისა და კვლევის მაღალპროფესიულ დონეზე წარმართვისათვის ორგანიზაციული და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა, სწავლების და კვლევის შესაძლებლობების განვითარების, გაფართოების და სრულყოფის პირობების შექმნა;
- დაიცვას თავისი პროფესიული ღირსება;
- მოითხოვოს ადმინისტრაციისაგან მისი პიროვნული და ქონებრივი უსაფრთხოების დაცვისათვის სათანადო ღონისძიებების გატარება;
- დადგენილი წესის შესაბამისად ისარგებლოს ბიბლიოთეკით, საინფორმაციო ფონდით და უნივერსიტეტის სხვა სტრუქტურული ქვედანაყოფების მომსახურებით;
- აიმაღლოს კვალიფიკაცია უნივერსიტეტის მატერიალური მხარდაჭერით, უნივერსიტეტის ადმინისტრაციის მიერ დადგენილი კვალიფიკაციის ამადლების ერთიანი სისტემის შესაბამისად;
- შეარჩიოს დაკისრებული მოვალეობის შესრულების მეთოდები და საშუალებები, რომლებიც ემსახურება უნივერსიტეტის მიზნების მაღალი ხარისხით და თანამედროვე საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად შესრულებას;
- ხელშეკრულებით გათვალისწინებული ოდენობითა და პირობებით მოითხოვოს და დროულად მიიღოს შრომის ანაზღაურება;
- მიიღოს საჯარო ხასიათის ინფორმაცია უნივერსიტეტში მიმდინარე პროცესების შესახებ;
- დაატოვებინოს აუდიტორია უდისციპლინო სტუდენტს, რომლის საქციელი ხელს უშლის მეცადინეობის ნორმალურ მსვლელობას და ის მეცადინეობა ჩაუთვალოს გაცდენად;
- მოხსნას საკონტროლო წერიდან, ტესტიდან, შუალედური და ფინალური გამოცდიდან კარნახის, გადაწერის მცდელობაში, „შპარგალკის“ გამოყენებასა და სხვისთვის გადაცემაში, მობილური ტელეფონის გამოყენებაში ან აკრძალულ სხვა ქმედებაში მხილებული სტუდენტი და გაუფორმოს შეფასება „ნული“;
- დასვას საკითხი იმ სტუდენტისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის შეფარდების შესახებ, რომელიც უხეშად დაარღვევს სტუდენტის ეთიკურ კოდექს-ჩაიდენს ხულიგნურ საქციელს, შეურაცხყოფას მიაყენებს ადმინისტრაციის, აკადემიური, დამხმარე ან მომსახურე პერსონალის წარმომადგენელს ან სხვა სტუდენტს, ან ჩაიდენს სტუდენტის სტატუსთან შეუსაბამო სხვა ქმედებას.;

## **5. აკადემიურ პერსონალს მოეთხოვება:**

- სრული ცოდნა და გაგება იმ საგნისა, რომელსაც ასწავლის;

- გააჩნდეს საჭირო უნარ-ჩვევები და გამოცდილება სტუდენტებისათვის თავისი ცოდნის ეფექტურად გადაცემისათვის;
- შეეძლოს სტუდენტებისაგან უკურეაქციის მიღება მის მიერ შესრულებული ფუნქციების თაობაზე;
- განუხრელად იცავდეს წინამდებარე კოდექსით აღიარებულ პრინციპებს და ნორმებს;
- მუდმივად ეცნობოდეს უახლეს მიღწევებსა და მეთოდოლოგიას თავისი მოღვაწეობის სფეროში, ისევე როგორც სიახლეებს პედაგოგიკაში;
- იყოს კორექტული როგორც კოლეგების, ასევე სტუდენტების მიმართ;
- არ მისცეს შენიშვნა კოლეგას სტუდენტების თანდასწრებით
- მზად იყოს აკადემიური ადმინისტრაციის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის და კომისიურად შექმნილი კოლეგების ჯგუფის წარმომადგენლების მის მეცადინეობაზე დასწრებისათვის.

## **6. აკადემიური პერსონალი ვალდებულია:**

- კეთილსინდისიერად შეასრულოს შრომითი ვალდებულებები აკადემიური თანამდებობის, სპეციალობის, კვალიფიკაციის, შინაგანაწესის, ბრძანებების, ადმინისტრაციის მითითებების შესაბამისად.
- მთლიანი სამუშაო დრო გამოიყენოს შრომისათვის, არ დაუშვას მეცადინეობაზე დაგვიანების ან მეცადინეობის ვადაზე ადრე დამთავრების შემთხვევა;
- შუალედური და დასკვნითი გამოცდებისათვის სტუდენტების უკეთ მოსამზადებლად გაუწიოს ამ უკანასკნელებს დამატებითი კონსულტაციები სემესტრში ჯგუფზე არანაკლებ 5 საათის განმავლობაში;
- იმ შემთხვევაში თუ ლექტორი არ გამოცხადდება მეცადინეობის დაწყებიდან 10 წუთის განმავლობაში, სტუდენტებს უფლება აქვთ დატოვონ აუდიტორია.
- სისტემატურად აიმაღლოს პროფესიული ცოდნა, მუდმივად იზრუნოს პედაგოგიური ხერხებისა და მეთოდების დახვეწასა და განვითარებაზე;
- მიადწიოს თითოეული სტუდენტის შესაძლებლობების მაქსიმალურ მობილიზაციას საგნის უმაღლეს დონეზე ათვისებისათვის.
- განავითაროს სტუდენტებში თავისუფალი და კრიტიკული აზროვნების უნარი.
- ხელი შეუწყოს სამოქალაქო საზოგადოების ღირსეული წევრის აღზრდას;
- დააინტერესოს სტუდენტები უნივერსიტეტში მიმდინარე სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობით და პროექტებით, გაუწიოს მათ ხელმძღვანელობა სამეცნიერო ან საპროექტო თემატიკის შესრულებაში;
- სპეციალური დისციპლინების სწავლებისას შექმნას ქეისები, მოიხმოს მაგალითები ადგილობრივი პრაქტიკიდან, პრეზენტაციებზე მოიწვიოს დარგის კომპეტენტური წარმომადგენლები;
- განახორციელოს საგნის სწავლება კავკასიის უნივერსიტეტში მიღებული აკადემიური სტანდარტების შესაბამისად; რაც მოიცავს:
  - თითოეულ სემესტრში საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისად კურსის განახლებული და დახვეწილი სილაბუსის მომზადებას;
  - თითოეული მეცადინეობისათვის ტესტირების, საკონტროლო და საშინაო დავალებების განახლებული და სრულყოფილი ვარიანტების შედგენას;
  - საილუსტრაციო მასალის მომზადებას;

- საკონტროლო, შუალედური და დასკვნითი შემოწმებების ჩატარებას განახლებული ტესტებითა და დავალებებით;
- სილაბუსით დათქმული ობიექტური შეფასების სტანდარტის უცილობლად დაცვას;
- კვირეული წერილობითი ტესტების, შუალედური და ფინალური გამოცდების საპატიო მიზეზით გაცდენის შემთხვევაში აღდგენას ადმინისტრაციის წერილობითი ნებართვით;

**სტუდენტის შეფასება ხდება 100 ქულიანი სისტემით.**

**შეფასების სისტემა უშვებს:**

**ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას:**

- .ა) (A) ფრიადი – მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;
- ა.ბ) (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90%;
- ა.გ) (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80%;
- ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70%;
- ა.ე) (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60%;

**ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:**

ბ.ა) (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

ბ.ბ) (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ

ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

ხელმისაწვდომი გახადოს სილაბუსი და დამატებითი მასალა.

– არ დაუშვას სილაბუსით განსაზღვრული პირობების დარღვევა; დათქმულ ვადებში ჩაატაროს მიმდინარე, შუალედური და ფინალური შემოწმებები; განსაკუთრებულ შემთხვევაში მიმართოს დეკანს მოხსენებითი ბარათით, რომელშიც დასაბუთებული იქნება ცვლილების აუცილებლობა და შეთავაზებული იქნება კონკრეტული წინადადება;

– თავისი მივლინების შესახებ სულ ცოტა ორი კვირით ადრე აცნობოს დეკანს და სტუდენტებს, ხოლო თუ სემესტრის დაწყებამდეა მისთვის ცნობილია შესაძლო მივლინების შესახებ - გაითვალისწინოს სილაბუსში.

– აღადგინოს გაცდენილი მეცადინეობები აკადემიურ მენეჯერთან შეთანხმებულ დროსა და აუდიტორიაში;

– საკონტროლო წერის, შუალედური და ფინალური გამოცდების პროცესში, თუ შემჩნეული იქნება ლექტორი „შპარგალკის“, კარნახის და სხვა მსგავსი მახინჯი გამოვლინებებისადმი გულგრილობაში, განიხილება მასთან საკონტრაქტო ურთიერთობის შეწყვეტის საკითხი;

– ერთი კვირის ვადაში წარუდგინოს აკადემიურ მენეჯერს სტუდენტთა მიმდინარე, შუალედური და ფინალური გამოცდების ნიშნები.

– აკადემიური მენეჯერისათვის გადაცემული შეფასებების ნებისმიერი კორექტირებისათვის მოხსენებითი ბარათით დაასაბუთოს ამის აუცილებლობა;

– ობიექტურად შეაფასოს სტუდენტების ცოდნა, დროულად გააცნოს მათ მიღებული შეფასებები, გაანალიზოს შედეგები და იზრუნოს ხარვეზების აღმოფხვრისათვის.

- სტუდენტის მიერ შეფასების გასაჩივრების შემთხვევაში დაემორჩილოს საუნივერსიტეტო სააპელაციო კომისიის გადაწყვეტილებას.
- არ დაუშვას დაგვიანებული სტუდენტი მეცადინეობაზე;
- გაუფრთხილდეს უნივერსიტეტის ქონებას, მკაცრად დაიცვას ტექნიკური მოწყობილობების გამოყენების წესები, დაიცვას მატერიალურ ფასეულობათა და დოკუმენტაციის შენახვის დადგენილი წესები;
- სტუდენტს მოთხოვნის შემთხვევაში წარუდგინოს მისი ნამუშევარი.
- შეინახოს სტუდენტთა ნამუშევრები ექვსი თვის განმავლობაში;
- ადმინისტრაციის სპეციალური ნებართვის გარეშე არ დაუშვას კონფიდენციალური, აკადემიური, ეკონომიკური, კომერციული, სამეცნიერო-ტექნიკური, ტექნოლოგიური და უნივერსიტეტის სხვა ინფორმაციის გაცემა, რომელიც მისი სამუშაო ვალდებულების შესრულებისას იქნა მიწოდებული ან შემთხვევით მოხვდა მის ხელში;
- გამოიჩინოს თავაზიანობა და ტაქტი სტუდენტების და თანამშრომლების მიმართ; პატივი სცეს კოლეგის შრომას, იყოს ზომიერად დისტანცირებული სტუდენტებთან.
- გულისხმიერად მოექცეს სტუდენტის პრობლემებს, დაეხმაროს მას შესაძლებლობების და კომპეტენციის ფარგლებში, გამოყოს დრო და ადგილი სტუდენტებთან კონსულტაციებისათვის საგნის შესწავლასთან, კვლევითი სამუშაოს ჩატარებასთან ან პროექტის შესრულებასთან დაკავშირებით;
- მონაწილეობა მიიღოს შუალედური და ფინალური საგამოცდო კომისიების მუშაობაში.
- მონაწილეობა მიიღოს საპროფესოროების, საგნობრივი მეთოდური სემინარის მუშაობაში და საგნის სწავლების ჩარჩო - სილაბუსის გამომუშავებაში;
- განახორციელოს კონტროლი სტუდენტების მიერ საუნივერსიტეტო ბაზაში სემსტრული შეფასების სწორად ასახვაზე.
- ეწეოდეს სამეცნიერო-კვლევით მუშაობას;
- მონაწილეობა მიიღოს საუნივერსიტეტო პროექტების შესრულებაში;
- მუდმივად სრულყოს თავისი პროფესიული უნარ-ჩვევები;
- ყველა დონე იხმაროს, რათა აღმოიფხვრას მიზეზები და პირობები, რომლებიც ხელს უშლიან ან ართულებენ სასწავლო პროცესის ნორმალურ მსვლელობას და დაუყოვნებლივ შეატყობინოს ადმინისტრაციას მომხდარის შესახებ;
- ქვეყნის შიგნით ან საზღვარგარეთ ყოფნისას მუდამ იზრუნოს უნივერსიტეტის საქმიანი რეპუტაციის ამაღლებაზე, ღირსებასა და პრესტიჟზე.
- გამოიყენოს ელექტრონული საშუალებები სტუდენტებთან და ადმინისტრაციასთან ურთიერთობისათვის, ინფორმაციის მისაღებად და გასავრცელებლად, სტუდენტთა დასწრებების აღრიცხვის საწარმოებლად;
- დაესწროს ადმინისტრაციის მიერ დანიშნულ შეხვედრას და მიიღოს მონაწილეობა დასმული საკითხების განხილვაში.
- უნივერსიტეტთან შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის სურვილის შემთხვევაში, მინიმუმ 4 (ოთხი) კვირით ადრე გააფრთხილოს ამის შესახებ უნივერსიტეტის ადმინისტრაცია. (მოცემული მოთხოვნა ეხება პროფესორებს, ასოცირებულ პროფესორებს, ასისტენტ-პროფესორებსა და ასისტენტებს).

## 7. აკადემიურ პერსონალს ეკრძალება:

- ნებისმიერი მიზეზით სასწავლო პროცესის ჩაშლა;
- მეცადინეობაზე მოუმზადებლად, მოუწესრიგებლად ან გამომწვევი ტანსაცმლით შესვლა;
- კავკასიის უნივერსიტეტის სტუდენტის რეპეტიტორობა.
- თავისი სტუდენტისაგან ან მისი მშობლებისაგან ძვირადღირებული (10 ლარზე ძვირი) საჩუქრის მიღება;
- თავისი სტუდენტის, მათი მშობლების, ნათესავების ან სხვა ახლობლების თანამდებობრივი მდგომარეობის ანგარებით გამოყენება პირადი მიზნების მისაღწევად;
- აკადემიკური საქმიანობასთან და/ან დაკავებულ თანამდებობასთან შეუფერებელი ქმედების განხორციელება;
- თვითნებურად შუალედური, ან/და ფინალური გამოცდის შემდეგ სტუდენტისათვის გადაბარების უფლების მიცემა;
- სტუდენტის შეფასება გარეგნობის, ეროვნული ან რელიგიური ნიშნის მიხედვით;
- აკადემიური შეფასებების გამოყვანისას სტუდენტების კეთილგანწყობის მოპოვებისა და ზედმეტად სტიმულირების მოტივით ქულებით მანიპულირება;
- ერთი სტუდენტის ნიშანი (ქულა) გაუმხილოს მეორე სტუდენტს, თუ ამის ნებართვა მოცემული სტუდენტისაგან არა აქვს;
- ადმინისტრაციასთან შეუთანხმებლად სტუდენტების დაბარება და აუდიტორიის დაკავება;
- მეცადინეობის დროს მობილური ტელეფონით სარგებლობა;
- უნივერსიტეტისათვის ზიანის მომტანი ქმედებისაკენ ბიძგება;
- უნივერსიტეტის რესურსების გამოყენება პირადი, კომერციული, პოლიტიკური ან რელიგიური მიზნებისათვის;
- ძალდატანებითი ქმედება ან მუქარა უნივერსიტეტის ერთობის სხვა წევრების მიმართ;
- უნივერსიტეტის ერთობის სხვა წევრების დისკრიმინაცია მათი პოლიტიკური შეხედულების, აღმსარებლობის, წარმოშობის, ეროვნების, ოჯახური მდგომარეობის, სქესის, ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო.





## თავი მეორე

საგანმანათლებლო პროგრამებისა და სილაბუსის შედგენის ინსტრუქცია (აღნიშნული ინსტრუქცია არ ვრცელდება კავკასიის უნივერსიტეტის მიერ ორმაგი ხარისხის პროგრამებზე)

შესაბამისი სკოლის ლოგო

- 1.1. კავკასიის უნივერსიტეტის ყველა სკოლაში შემუშავებული პროგრამები და სილაბუსები შეესაბამება ქვემოთ დადგენილ ინსტრუქციასა და ფორმას;
- 1.2. კავკასიის უნივერსიტეტის მიერ პარტნიორ უნივერსიტეტებთან ორმაგი ხარისხის პროგრამების განხორციელების შემთხვევაში, აღნიშნული ფორმები შეიძლება არ გავრცელდეს, რადგან გათვალისწინებულია უცხოეთის პარტიორი უნივერსიტეტის მიერ დადგენილი პროგრამების ფორმა.
- 1.3. ორმაგი პროგრამების განხორციელებისას უცხოენოვან პროგრამებთან ერთად წარმოდგენილ უნდა იქნეს პროგრამების ქართულ ენოვანი თარგმანი.

## კავკასიის უნივერსიტეტი

### კავკასიის (შესაბამისი) სკოლა

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	
საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება ინგლისურ ენაზე	
უმაღლესი აკადემიური განათლების საფეხური	
საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი	
სწავლების ენა	

მისანიჭებელი კვალიფიკაცია	
ქართულად:	
ინლისურად:	
შესაბამისი პროგრამის დამტკიცების და განახლების თარიღი	
შესაბამისი პროგრამის ხელმძღვანელი	
ინფორმაცია იხ. "პროგრამის ხელმძღვანელის CV"	

<b>პროგრამის მოცულობა კრედიტებით</b>	
<ul style="list-style-type: none"> <li>➤ დეტალურად უნდა აღიწეროს პროგრამის საერთო მოცულობა, მისი გადანაწილება კრედიტების რაოდენობებით სემესტრების მიხედვით.</li> <li>➤ სწავლების ხანგრძლივობის ვადა.</li> <li>➤ კრედიტების რა ნაწილი ეთმობა პროფესიისათვის აუცილებელ კომპონენტებს (პრაქტიკის კომპონენტის ჩათვლით), ზოგადსაუნივერსიტეტო საგნებს, უცხო ენას და თავისუფალ კრედიტებს.</li> <li>➤ ინფორმაცია შუალედური კვალიფიკაციის მინიჭების შესაძლებლობის შესახებ.</li> <li>➤ არის თუ არა პროგრამის ფარგლებში დამატებითი Minor სპეციალობის გავლის საშუალება კრედიტების მითითებით.</li> <li>➤ აქვე უნდა განისაზღვროს სასწავლო წლის ფარგლებში სემესტრში სასწავლო კვირების რაოდენობა და და 1 კრედიტის საათობრივი დატვირთვის ექვივალენტი.</li> <li>➤ უნდა იყოს ინფორმაცია სავალდებულო და არჩევითი საგნების ხვედრით წილზე სასწავლო გეგმის მიხედვით.</li> </ul>	

<b>პროგრამაზე დაშვების წინაპირობა</b>	
<p>ზოგადი წესი + უცხო ენასთან ან სხვა ზოგადსაუნივერსიტეტო საგნებთან მიმართებაში არსებული დათქმები (არსებობის შემთხვევაში).</p>	

## შესაბამისი პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება

<p>შესაბამის პროგრამის მიზანი</p>	<p><i>ზოგადი მიზანი რომელიც გამომდინარეობს სკოლის მისიიდან და შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, ასევე ითვალისწინებს დარგის სტანდარტებს. (მაქსიმუმ 1 აბზაცი)</i></p> <p><i>შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია სტუდენტს შესძინოს:</i></p> <p>ამ ნაწილში უნდა გაიწეროს ძირითადი დარგობრივი სტანდარტები რის მიღწევასაც მოცემული დონის პროგრამა ითვალისწინებს.</p> <p><i>შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია სტუდენტს გამოუმუშავოს:</i></p> <p>ეს ნაწილი დეტალურად აღწერს პროგრამაში დარგობრივი საგნების გავლის პირობებში გამოუმუშავებული ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციების/უნარების ნუსხას. <b>ყურადღება!!!</b> პროგრამების დონეების მიხედვით ეს ნაწილი უნდა განსხვავდებოდეს და შეესაბამებოდეს დანართი #3 მიხედვით გაწერილ ინსტრუქციებს.</p>
<p>შესაბამისი პროგრამის სწავლის შედეგი</p>	<p>შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული შეიძენს <b>ზოგად და დარგობრივ კომპეტენციებს.</b></p> <p>ზოგადი კომპეტენციების საფუძველზე შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებული შეძლებს:</p> <p>ამ ნაწილის შევსებისას ისარგებლეთ დადგენილი შესაბამისი საფეხურის პროგრამის ზოგადი კომპეტენციათა დახასიათებით.</p> <p><b>დარგობრივი კომპეტენციების</b> საფუძველზე შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებული შეძლებს:</p> <p>ამ ნაწილის შევსებისას ისარგებლეთ დადგენილი შესაბამისი საფეხურის პროგრამის დარგობრივი (შიდნორმატიული დოკუმენტით დამტკიცებული</p>

	დარგობრივი სტანდარტებით, რომლებიც ასევე ასახულია პროფესიისათვის აუცილებელი კომპონენტის საგნების სილაბუსებში) კომპეტენციათა დახასიათებით.
დასაქმების სფეროები და სტატისტიკური მაჩვენებლები	შესაძლო დასაქმების სფეროები და დამსაქმებლების შესახებ მოკლე ინფორმაცია, კურსდამთავრებულთა დასაქმების შესახებ ბოლო კვლევის შედეგები სტატისტიკის მითითებით.
სწავლის გაგრძელების საშუალება	შესაძლო მომდევნო სწავლის საფეხური დარგების მითითებით!

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა	
სისტემა უნდა გაიწეროს 4/12/2012 წლის ბრძანების შესაბამისად.	

სწავლებისა და სწავლის მეთოდები	
იხელმძღვანელებს უნივერსიტეტის დიდაქტიკური კონცეფციითა და თქვენ სკოლისათვის დამახასიათებელი, აპრობირებული სწავლების მეთოდების აღწერებით.	

შესაბამისი პროგრამის განხორციელებაში მონაწილე პირები	
<ul style="list-style-type: none"> <li>➤ მიუთითეთ პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალისა და მოწვეული სპეციალისტების ზუსტი რაოდენობა.</li> <li>➤ გაითვალისწინეთ ის გარემოება, რომ 70 სტუდენტზე 1 სრული ან ასოცირებული პროფესორი მაინც უნდა ირიცხებოდეს.</li> <li>➤ სტუდენტების რაოდენობა გათვალეთ ამჟამად პროგრამაზე რიცხული + გამოცხადებული მისაღები ადგილების სტუდენტების რაოდენობიდან გამომდინარე.</li> <li>➤ გადაამოწმეთ აკადემიური პერსონალის კონკურსის ვადები და „ფორმა 2“-ის არსებობა და მათი რეგისტრაცია საერთო აკადემიური პერსონალის ბაზაში.</li> <li>➤ ასოცირებულად შესაძლოა ერთი და იგივე პირი ირიცხებოდეს ორ უმაღლეს სასწავლებელში, სრულ პროფესორად მხოლოდ ერთში.</li> <li>➤ ერთი და იგივე პირი შეიძლება ირიცხებოდეს რამდენიმე პროგრამაზე მისი კვალიფიკაციის შესაბამისად.</li> </ul>	

<b>შესაბამის პროგრამის სხვა რესურსები</b>	
<p>➤ აქ უნდა აისახოს ყველა პარტნიორი დაწესებულება: პარტნიორი უნივერსიტეტები, საჯარო სკოლები, საჯარო დაწესებულებები, კერძო კომპანიები, საერთაშორისო ორგანიზაციები, არასამთავრობო ორგანიზაციები და სხვა.</p>	

<b>მატერიალურ-ტექნიკური ბაზა</b>	
<p>➤ მატერიალურ ტექნიკური ბაზა მოიცავს: ბიბლიოთეკას (წიგნად ფონდს), ელექტრონულ რესურსებს, კომპიუტერულ აღჭურვილობას, აუდიტორიებს და ლაბორატორიებს.</p>	

<b>პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა</b>	
<p>აქ უნდა იყოს მითითებული მიმდინარე წლის პროგრამის საბიუჯეტო გათვლები. (ფინანსური დეპარტამენტიდან).</p> <p>სადოქტორო პროგრამებზე აუცილებელია სამეცნიერო ნაწილის დაფინანსების ჩვენება წყაროების მითითებით.</p> <p>პროგრამებზე, რომელებიც ფინანსდება ან/და მონაწილეობენ საერთაშორისო საგრანტო პროგრამებში, უნდა მიეთითოს დონორის სახელწოდება, მინიჭებული კოდი და პასუხისმგებელი პირი პროგრამიდან. ასევე აღნიშნულ პროგრამაზე გათვლილი ბიუჯეტი.</p>	

კურიკულუმი	<input checked="" type="checkbox"/> თან ერთვის <input type="checkbox"/> არ ერთვის
სილაბუსები	<input checked="" type="checkbox"/> თან ერთვის <input type="checkbox"/> არ ერთვის
აღწერილობები	<input checked="" type="checkbox"/> თან ერთვის <input type="checkbox"/> არ ერთვის

**შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმა**  
(მოდულების, საგნების, შესაბამისი კრედიტების მითითებით)

№	საგნის კოდი	წინაპირობა	საგანი\ მოდული	სწავლების წელი								ECTS კრედიტი
				I		II		III		IV		
				E ECTS კრედიტი								
				I სემესტრი	II სემესტრი	I სემესტრი	II სემესტრი	I სემესტრი	II სემესტრი	I სემესტრი	II სემესტრი	
1.												
2.												
3.												
4.												
5.												
6.												
7.												
8.												
ECTS კრედიტები			სემესტრში	30	30	30	30	30	30	30	30	
			წელიწადში	60		60		60		60		
			საგნების\მოდულების რაოდენობა წელიწადში									

№	საგნის კოდი	წინაპირობა	საგანი\ მოდული	სწავლების წელი								ECTS კრედიტი
				I		II		III		IV		
				E ECTS კრედიტი								
				I სემესტრი	II სემესტრი	I სემესტრი	II სემესტრი	I სემესტრი	II სემესტრი	I სემესტრი	II სემესტრი	

შენიშვნა :

თუ სასწავლო ბადე რაიმე გამოჩვენდება ან დათქმას ითვალისწინებს აისახება სიტყვიერი განმარტებით ამ გრაფაში.

**საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისათვის**

შესაბამისი სერთიფიკატები და ქულები (B1)
ტოიფელი (TOEFEL <b>PBT</b> ) – არანაკლებ 437 ქულა
ტოიფელი (TOEFEL <b>IBT</b> ) – არანაკლებ 41 ქულა
ბრიტანეთის საბჭოსა და კემბრიჯის უნივერსიტეტის ინგლისური ენის გამოცდები (IELTS) - არანაკლებ 4,0 ქულა
ბრიტანეთის საბჭოსა და კემბრიჯის უნივერსიტეტის ინგლისური ენის გამოცდები (Cambridge Exam) - არანაკლებ PET
შესაბამისი სერთიფიკატები და ქულები (B2)
ტოიფელი (TOEFEL <b>PBT</b> ) – არანაკლებ 513 ქულა
ტოიფელი (TOEFEL <b>IBT</b> ) – არანაკლებ 65 ქულა
ბრიტანეთის საბჭოსა და კემბრიჯის უნივერსიტეტის ინგლისური ენის გამოცდები (IELTS) - არანაკლებ 5,5 ქულა
ბრიტანეთის საბჭოსა და კემბრიჯის უნივერსიტეტის ინგლისური ენის გამოცდები (Cambridge Exam) - არანაკლებ FCE





შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის საათობრივი გაანგარიშება

№	სასწავლო კურსი	ECTS კრედიტი\სთ/	ლექცია	სემინარი	პრაქტიკული	საშინაო დავალება და მისი პრეზენტაცია	სხვა ასეთის არსებობის შემთხვევაში	დამოუკიდებელი მუშაობა, მ.შ. გამოცდებისათვის მზადება
1.								
2.								
3.								
4.								
5.								
6.								
7.								
8.								
9.								
10.								
11.								
12.								
13.								
14.								
15.								
16.								
17.								
18.								
19.								
20.								

შესაბამისი პროგრამის სასწავლო კურსების აღწერილობები

საგნის დასახელება	
ECTS კრედიტი	
შესწავლის წინაპირობები	
სწავლების სემესტრი	
სასწავლო კურსის მოკლე აღწერა	
სწავლის შედეგი	

კომპეტენციათა ჩამონათვალი

ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციები	
№	ზოგადი კომპეტენციები
1.	
2.	
3.	
4.	
5.	
6.	
7.	
8.	
9.	
10.	
11.	
12.	
13.	

№	დარგობრივი კომპეტენციები
---	--------------------------

1.	
2.	
3.	
4.	
5.	
6.	
7.	
8.	
9.	
10.	

სწავლის შედეგების რუკა								
№	სასწავლო კურსის კოდი	სასწავლო კურსი	ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციები					
			ცოდნა გაცნობიერება	ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება	დასკვნის უნარი	კომუნიკაცია	სწავლის უნარი	ღირებულება
1								
2								

შესაბამისი  
საგანმანათლებლო პროგრამის  
პროფესორ-მასწავლებელთა რესურს-ბაზა

№	სახელი და გვარი	სტატუსი	სასწავლო კურსი
1			
2			
3			
4			
5			
6			
7			
8			
9			
10			
11			
12			
13			

შესაბამისი პროგრამის ხელმძღვანელის  
**CURRICULUM VITAE**

სახელი, გვარი	
---------------	--

თანამდებობა	
-------------	--

სამუშაო ადგილი	
----------------	--

საკონტაქტო ინფორმაცია			
ტელეფონი:		ელ-ფოსტა:	

სამეცნიერო კვლევის სფეროები	
-----------------------------	--

პუბლიკაციები	
--------------	--

მიღებული სერთიფიკატები	
------------------------	--

ადგილობრივი და საერთაშორისო კონფერენციები	
---	--

თავი მესამე

სასწავლო კურსის სილაბუსის ჩარჩო და მისი შევსების ინსტრუქცია



**კავკასიის უნივერსიტეტი**

**კავკასიის (შესაბამისი სკოლის დასახელება) სკოლა**

(აღნიშნული ინსტრუქცია არ ვრცელდება კავკასიის უნივერსიტეტის მიერ ორმაგი ხარისხის პროგრამებზე შემუშავებულ სილაბუსებზე)

**ს ი ლ ა ბ უ ს ი**

სასწავლო კურსის დასახელება	პროგრამაში მითითებული საგნის დასახელება					
სასწავლო კურსის კოდი						
სასწავლო კურსის ანოტაცია	აქ უნდა ჩაიწეროს საგნის მოკლე აღწერილობა: მაგალითისათვის აქ შეიძლება ჩაიწეროს გასავლელი თემების სათაურები.					
სასწავლო კურსის სტატუსი	<input type="checkbox"/> სავალდებულო		<input type="checkbox"/> არჩევითი			
ECTS	X ECTS კრედიტი					
სკოლა, საფეხური, ჯგუფი, ვისაც ეკითხება სასწავლო კურსი	სკოლა					
	სწავლის საფეხური	<input type="checkbox"/> ბაკალავრიატი,		<input type="checkbox"/> მაგისტრატურა		<input type="checkbox"/>
	ჯგუფი				სწავლების სემესტრი	

ლექტორი:	
----------	--

სამუშაო ადგილი	
აკადემიური ხარისხი	
აკად. თანამდებობა	
სამსახურის ტელეფონი	
მობილური ტელეფონი	
ელ-ფოსტა	
კონსულტაციის დრო	

სასწავლო კურსის შესწავლის წინაპირობები	დაწერეთ სასწავლო კურსის პრერეკვიზიტი, მისი არებობის შემთხვევაში.
--	--

სასწავლო კურსის ფორმატი	
ლექცია სემინარი პრაქტიკუმი სხვა	იხ. დანართი #4

სასწავლო კურსის მიზანი	
------------------------	--

სწავლის შედეგი	სტუდენტი კურსის გავლის შემდეგ შეძლებს: იხ. დანართი #1
----------------	---

სავალდებულო ლიტერატურა	
------------------------	--

დამხმარე ლიტერატურა და ინფორმაციის სხვა წყაროები	
--	--

სწავლებისა და სწავლის მეთოდები	იხ. დანართი #2
--------------------------------	----------------

სტუდენტის მიმართ წაყენებული მოთხოვნები	ნიმუში: (შეიცვლება კურსის შესაბამისად) "სტუდენტი აუცილებლად უნდა დაესწროს ლექცია-სემინარებსა და პრაქტიკულ მეცადინეობებს. დაუშვებელია ლექციის გაცდენა არასაპატიო მიზეზით. ლექციების გაცდენა აისახება საბოლოო შეფასებაზე.
--	---



	<p>სტუდენტთა მიერ გაცემილი ლექციების და სემინარების აღდგენის რეგულაციას ახორციელებს კავკასიის უნივერსიტეტის მონიტორინგის სამსახური.</p> <p>სტუდენტს მოეთხოვება ყურადღებით მოუსმინოს ლექტორს და აქტიური მონაწილეობა მიიღოს სალექციო თემის ირგვლივ გამართულ დისკუსიებში.</p> <p>დაუშვებელია ლექცია-სემინარებსა და პრაქტიკულ მეცადინეობებზე სტუდენტის სხვა საქმით დაკავება (ერთმანეთთან საუბარი, რაიმეს გადაწერა და სხვ.).</p> <p>დაუშვებელია წერილობითი და ზეპირი გამოკითხვის დროს ნებისმიერი სახის გადალაპარაკება სტუდენტებს შორის, წიგნიდან, კოდექსიდან ან ერთმანეთისაგან გადაწერა. აღნიშნული წესის დამრღვევი სტუდენტი დატოვებს აუდიტორიას და ტესტი ან გამოცდა ჩაუბარებლად ჩაეთვლება.</p> <p>დაუშვებელია ლექციაზე დაგვიანება.</p> <p>დაუშვებელია ლექციაზე მობილური ტელეფონით სარგებლობა.</p> <p>სტუდენტი კეთილსინდისიერად უნდა ასრულებდეს სასწავლო პროგრამის სწავლების პროცესში მიცემულ ყველა დავალებას და სათანადოდ ემზადებოდეს შუალედური და ფინალური გამოცდების ჩასაბარებლად.</p>
--	---

ცოდნის შეფასების ფორმები და კრიტერიუმები	გამოკითხვის ფორმა	რაოდენობა	შეფასება	სულ ქულათა რაოდენობა
	ზეპირი გამოკითხვა			
	წერილი გამოკითხვა			
	პრეზენტაცია			
	შუალედური შეფასება			
	დასკვნითი გამოცდა			
			სულ ჯამი:	100 ქულა
<b>ცოდნისა და უნარ-ჩვევების შეფასების სისტემა</b>				
იხ. დანართი #3				

შეფასების ინდექსირებული სისტემა და მაჩვენებლები		
	შეფასების შკალა	ქულა
ფრიადი	A (91%-ზე მეტი)	91-100
ძალიან კარგი	B (81%-90%)	81-90
კარგი	C (71%-80%)	71-80
დამაკმაყოფილებელი	D (61%-70%)	61-70
საკმარისი	E (51%-60%)	51-60
ვერ ჩააბარა	FX (41%-50%)	41-50
ჩაიჭრა	F (40% და ნაკლები)	0-40

აკადემიური კალენდარი (ლექციებისა და სემინარების გადანაწილება სემესტრში)			
I კვირა	II კვირა	III კვირა	IV კვირა
ლექცია 2 საათი	ლექცია 2 საათი	ლექცია/სემინარი 3 საათი	ლექცია/სემინარი 3 საათი
V კვირა	VI კვირა	VII კვირა	VIII-IX კვირა
ლექცია/სემინარი 3 საათი	ლექცია/სემინარი 3 საათი	ლექცია/კონსულტაცია/სემინარი 2 საათი	შუღედური გამოცდა 2 სთ.
X კვირა	XI კვირა	XII კვირა	XIII კვირა
ლექცია 2 საათი	ლექცია/სემინარი 3 საათი	ლექცია/სემინარი 3 საათი	ლექცია/სემინარი 3 საათი
XIV კვირა	XV კვირა	XVI კვირა	XVII კვირა
ლექცია/სემინარი 3 საათი	ლექცია/სემინარი 3 საათი	ლექცია/კონსულტაცია/სემინარი 2 საათი	პრეზენტაცია 3 სთ.
XVIII კვირა	XIX კვირა	XX კვირა	XXI კვირა
დასკვნითი გამოცდა 3 სთ.		დასკვნითი გამოცდის აღდგენა	Ex-გადაბარება

### სასწავლო კურსის შინაარსი

#### მეცადინეობების კალენდარული გეგმა

მეცადინეობის დრო და ადგილი		დღე -	დაწყება -	დამთავრება -	აუდიტორია
N	თარიღი	მეცადინეობის თემა, საშინაო დავალება, ლიტერატურა			
1-ლი კვირა		<p>📖 თემა 1.</p> <p>განსახილველი საკითხები;</p> <p>სავალდებულო ლიტერატურა</p> <p>ლიტერატურა გვერდების მითითებით!</p> <p>დამატებითი ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა</p> <p>ლიტერატურის გვერდების მითითება სავალდებულო არ არის, თუმცა სასურველია!</p>			
მე- 2 კვირა		<p>📖 თემა 2.</p> <p>განსახილველი საკითხები;</p>			

		სავალდებულო ლიტერატურა
		დამატებითი ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა
მე- 3 კვირა		<p>📖 თემა 3. განსახილველი საკითხები;</p>
		სავალდებულო ლიტერატურა
		დამატებითი ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა
		გამოკითხვის ფორმა: და ქულა!!!!
მე- 4 კვირა		<p>📖 თემა 4. განსახილველი საკითხები;</p>
		სავალდებულო ლიტერატურა
		დამატებითი ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა
		გამოკითხვის ფორმა:
მე- 5 კვირა		<p>📖 თემა 5. განსახილველი საკითხები;</p>
		სავალდებულო ლიტერატურა
		დამატებითი ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა
		გამოკითხვის ფორმა:
მე- 6 კვირა		<p>📖 თემა 6.</p>

		განსახილველი საკითხები;
		სავალდებულო ლიტერატურა
		დამატებითი ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა
		გამოკითხვის ფორმა:
მე- 7 კვირა		<p>📖 თემა 7.</p> <p>განსახილველი საკითხები;</p>
		სავალდებულო ლიტერატურა
		დამატებითი ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა
მე- 8 კვირა		შუალედური გამოცდა – ????? ქულა
მე- 9 კვირა		
მე- 10 კვირა		<p>📖 თემა 8.</p> <p>განსახილველი საკითხები;</p>
		სავალდებულო ლიტერატურა
		დამატებითი ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა
მე-11 კვირა		<p>📖 თემა 9.</p> <p>განსახილველი საკითხები;</p>
		სავალდებულო ლიტერატურა
		დამატებითი ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა

		გამოკითხვის ფორმა:
მე-12 კვირა		<p>📖 თემა 10.</p> <p>განსახილველი საკითხები;</p> <p>სავალდებულო ლიტერატურა</p> <p>დამატებითი ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა</p> <p>გამოკითხვის ფორმა:</p>
მე-13 კვირა		<p>📖 თემა 11.</p> <p>განსახილველი საკითხები;</p> <p>სავალდებულო ლიტერატურა</p> <p>დამატებითი ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა</p> <p>გამოკითხვის ფორმა:</p>
მე-14 კვირა		<p>📖 თემა 12.</p> <p>განსახილველი საკითხები;</p> <p>სავალდებულო ლიტერატურა</p> <p>დამატებითი ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა</p> <p>გამოკითხვის ფორმა:</p>
მე-15 კვირა		<p>📖 თემა 13.</p> <p>განსახილველი საკითხები;</p> <p>სავალდებულო ლიტერატურა</p>

		დამატებითი ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა
		გამოკითხვის ფორმა:
მე-16 კვირა		<p>📖 თემა 14.</p> <p>განსახილველი საკითხები;</p> <p>სავალდებულო ლიტერატურა</p> <p>დამატებითი ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა</p>
მე-17 კვირა		<p>პრეზენტაცია – ქულა</p> <p>სასწავლო კურსის პრეზენტაციის გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში შეგიძლიათ დაამატოთ 📖 თემა 15.</p>
მე-18 კვირა		დასკვნითი გამოცდა – ქულა
მე-19 კვირა		
მე-20 კვირა		დასკვნითი გამოცდის აღდგენა
მე-21 კვირა		FX-ის გადაბარება

ლექტორი..... / /

(თარიღი).....

პროგრამის

ხელმძღვანელი .....//

(თარიღი).....

ფაკულტეტის / სკოლის დეკანი ..... //

(თარიღი).....

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის

დეპარტამენტის დირექტორი..... / /

(თარიღი).....

სილაბუსის მომზადებისათვის საჭირო დამხმარე ინფორმაცია!

დანართი #1 ზოგადი კომპეტენციების ნუსხა, საიდანაც უნდა იქნეს არჩეული საგნის შესაბამისი კომპეტენციების ჩამონათვალი შედეგების დასადგენად

ზოგადი კომპეტენციები	
1 აბსტრაქტული აზროვნების, ანალიზისა და სინთეზის უნარი	
2 ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	
3 დროის დაგეგმვისა და მართვის უნარი	
4 დარგის ცოდნა-გააზრება და გათავისება	
5 მშობლიურ ენაზე ზეპირი და წერილობითი ფორმით კომუნიკაციის უნარი	
6 მეორე (უცხო) ენაზე კომუნიკაციის უნარი	
7 საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების უნარი	
8 კვლევის სათანადო დონეზე წარმართვის უნარი	
9 სწავლისა და ცოდნის მუდმივი განახლების უნარი	
10 სხვადასხვა წყაროდან ინფორმაციის მოძიებისა და ანალიზის უნარი	
11 კრიტიკული აზროვნებისა და თვითკრიტიკის უნარი	
12 უცხო გარემოში ადაპტირებისა და მოქმედების უნარი	
13 ახალი იდეების გენერირების უნარი	
14 პრობლემების იდენტიფიცირებისა და გადაწყვეტის უნარი	
15 დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღების უნარი	
16 ჯგუფში მუშაობის უნარი	
17 ადამიანებთან ურთიერთობის, დიალოგის წარმოების უნარი	
18 ადამიანის მოტივირებისა და საერთო მიზნისკენ წარმართვის უნარი	
19 არასპეციალისტებთან კომუნიკაციის უნარი	
20 განსხვავებულებისა და კულტურული მრავალფეროვნების პატივისცემის უნარი	

21 საერთაშორისო კონტექსტში მუშაობის უნარი	
22 დამოუკიდებელი მუშაობის უნარი	
23 პროექტის შემუშავებისა და მართვის უნარი	
24 უსაფრთხოების დაცვის ვალდებულების შეგნება	
25 საქმიანი წამოწყებისა და ინიციატივის საკუთარ თავზე აღების უნარი	
26 ეთიკური მოსაზრებების საფუძველზე ქცევის უნარი	
27 შესრულებული სამუშაოს ხარისხის შეფასებისა და შენარჩუნების უნარი	
28 ნაკისრი ვალდებულებების განხორციელებისა და ბოლომდე მიყვანის უნარი	
29 გარემოს დაცვის ვალდებულების შეგნება	
30 სოციალური პასიხისმგებლობითა და თვითშეგნებით მოქმედების უნარი	
31 თანაბარი შესაძლებლობების და გენდერულ საკითხთა გაცნობიერების უნარი	

პროგრამის ხელმძღვანელებმა დაამატეთ დარგობრივი კომპეტენციების რუქა!



## დანართი #2 სწავლებისა და სწავლის მეთოდები აარჩიეთ და სილაბუსში ასახეთ საგნის წაკითხვის პროცესში თქვენს მიერ გამოყენებული მეთოდები. ჩამონათვალს შეგიძლიათ დაამატოთ.

სწავლების პროცესში, რომელიმე კონკრეტული საკითხის შესწავლა შეუძლებელია მხოლოდ ერთი მეთოდით. პროფესორს სწავლების პროცესში უხდება სხვადასხვა მეთოდის გამოყენება, ხშირ შემთხვევაში ადგილი აქვს მეთოდთა შერწყმას. მაგ., ლექციაზე ლექტორი სალექციო მასალას ვიზუალური პრეზენტაციის სახით წარმოადგენს, რომელსაც თან ახლავს ვერბალური განმარტება; იმართება დისკუსია, სტუდენტს დამოუკიდებელი მუშაობის შესასრულებლად მიეცემა დავალება, რომელსაც იგი ასრულებს წიგნზე მუშაობის სახით, ჩანაწერის გაკეთების გზით და სხვ. ამრიგად, სწავლება-სწავლის პროცესში მეთოდები ერთმანეთს ავსებენ და ერთმანეთში გადადიან.

სწავლა-სწავლების მეთოდების მრავალგვარი კლასიფიკაცია არსებობს, გთავაზობთ ყველაზე გავრცელებულ ვარიანტებს.

მეთოდთა კლასიფიკაციის ვარიანტი

1. ვერბალური, ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი.
2. წიგნზე მუშაობის მეთოდი.
3. წერიტი მუშაობის მეთოდი, რომელიც გულისხმობს შემდეგი სახის აქტივობებს: ამონაწერებისა და ჩანაწერების გაკეთება, მასალის დაკონსპექტება, თეზისების შედგენა, რეფერატის, ან ესეს შესრულება, და ა.შ.
4. ლაბორატორიული მეთოდი და დემონსტრირების მეთოდი – ეს უკანასკნელი თავის მხრივ გულისხმობს შემდეგი სახის აქტივობებს: ცდების დაყენება, ვიდეომასალების ჩვენება, დინამიკური ხასიათის მასალა და სხვ.
5. პრაქტიკული მეთოდები – აერთიანებს სწავლების ყველა იმ ფორმას, რომელიც სტუდენტს პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს უყალიბებს, აქ სტუდენტი შეძენილი ცოდნის საფუძველზე დამოუკიდებლად ასრულებს ამა თუ იმ აქტივობას, მაგალითად: საწარმოო და პედაგოგიური პრაქტიკა, სავლე მუშაობა და სხვ.

მეთოდთა კლასიფიკაციის ვარიანტი

1. **დისკუსია/დებატები** – ინტერაქტიური სწავლების ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული მეთოდია. დისკუსიის პროცესი მკვეთრად ამაღლებს სტუდენტთა ჩართულობის ხარისხსა და აქტივობას. დისკუსია შესაძლებელია გადაიზარდოს კამათში. ეს პროცესი არ შემოიფარგლება მხოლოდ პროფესორის მიერ დასმული შეკითხვებით. ეს მეთოდი უვითარებს სტუდენტს კამათისა და საკუთარი აზრის დასაბუთების უნარს.
2. **ჯგუფური** (ცოლლაბორატივე) **მუშაობა** - ამ მეთოდით სწავლება გულისხმობს სტუდენტთა ჯგუფებად დაყოფას და მათთვის სასწავლო დავალების მიცემას. ჯგუფის წევრები

ინდივიდუალურად ამუშავებენ საკითხს და პარალელურად უზიარებენ მას ჯგუფის დანარჩენ წევრებს. დასახული ამოცანიდან გამომდინარე შესაძლებელია ჯგუფის მუშაობის პროცესში წევრებს შორის მოხდეს ფუნქციების გადანაწილება. ეს სტრატეგია უზრუნველყოფს ყველა სტუდენტის მაქსიმალურ ჩართულობას სასწავლო პროცესში.

3. **პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება** ( ) - სასწავლო მეთოდი, რომელიც ახალი ცოდნის მიღების და ინტეგრაციის პროცესის საწყის ეტაპად იყენებს პრობლემას.
4. **თანამშრომლობითი (კოოპერატივე) სწავლება** - იმგვარი სწავლების სტრატეგიაა, სადაც ჯგუფის თითოეული წევრი ვალდებულია არა მხოლოდ შეისწავლოს, არამედ დაეხმაროს თავის თანაგუნდელს საგნის უკეთ შესწავლაში. თითოეული ჯგუფის წევრი მუშაობს პრობლემაზე, ვიდრე ყველა მათგანი არ დაეუფლება საკითხს.
5. **ვერსტიკული მეთოდი** – ეფუძნება სტუდენტების წინაშე დასმული ამოცანის ეტაპობრივ გადაწყვეტას. ეს ამოცანა სწავლების პროცესში ფაქტების დამოუკიდებლად დაფიქსირებისა და მათ შორის კავშირების დანახვის გზით ხორციელდება.
6. **შემთხვევის ანალიზი (ჩასე სტუდენტი)** - პროფესორი სტუდენტებთან ერთად ლექციაზე განიხილავს კონკრეტულ შემთხვევებს, რომლებიც ყოველმხრივ და საფუძვლიანად შეისწავლიან საკითხს. მაგალითად, მედიცინის სფეროში ეს შეიძლება იყოს კონკრეტული პაციენტის ავადმყოფობის ისტორიის განხილვა, პოლიტიკის მეცნიერებაში ეს შეიძლება იყოს კონკრეტული, ვთქვათ ყარაბახის (სომხეთ-აზერბაიჯანის) კონფლიქტის ანალიზი და ა. შ.
7. **გონებრივი იერში (რაინ სტორმინგ)** - ეს მეთოდი გულისხმობს კონკრეტული თემის ფარგლებში კონკრეტული საკითხის/პრობლემის შესახებ მაქსიმალურად მეტი, სასურველია რადიკალურად განსხვავებული, აზრის, იდეის ჩამოყალიბებასა და გამოთქმის ხელშეწყობას. აღნიშნული მეთოდი ხელს უწყობს პრობლემისადმი შემოქმედებითი მიდგომის განვითარებას. ეს მეთოდი ეფექტურია სტუდენტთა მრავალრიცხოვანი ჯგუფის არსებობის პირობებში და შედეგა რამდენიმე ძირითადი ეტაპისგან:
  - პრობლემის/საკითხის შემოქმედებითი კუთხით განსაზღვრა.
  - დროის გარკვეულ მონაკვეთში აუდიტორიისგან საკითხის ირგვლივ არსებული იდეების კრიტიკის გარეშე ჩანიშვნა (ძირითადად დაფაზე).
  - გამორიცხვის გზით იმ იდეების გამორჩევა, რომლებიც ყველაზე მეტ შესაბამისობას ავლენს დასმულ საკითხთან.
  - კვლევის მიზანთან იდეის შესაბამისობის დასადგენად შეფასების კრიტერიუმების განსაზღვრა.
  - შერჩეული იდეების შეფასება წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმებით.
  - უმაღლესი შეფასების მქონე იდეის, როგორც დასახული პრობლემის გადაჭრის საუკეთესო საშუალების გამოვლენა.
  - **როლური და სიტუაციური თამაშები** - სცენარის მიხედვით განხორციელებული როლური თამაშები სტუდენტებს საშუალებას აძლევს სხვადასხვა პოზიციიდან შეხედოს საკითხს და ეხმარება მათ ალტერნატიული თვალსაზრისის ჩამოყალიბებაში. ისევე როგორც დისკუსია, როლური თამაშებიც უყალიბებს სტუდენტს საკუთარი პოზიციის დამოუკიდებლად გამოთქმისა და კამათში მისი დაცვის უნარს.

8. **დემონსტრირების მეთოდი** – ეს მეთოდი ინფორმაციის ვიზუალურად წარმოდგენას გულისხმობს. შედეგის მიიღწევის თვალსაზრისით ის საკმაოდ ეფექტურია., ხშირ შემთხვევაში უმჯობესია, მასალა ერთდროულად აუდიო და ვიზუალური გზით მივაწოდოთ სტუდენტებს. შესასწავლი მასალის დემონსტრირება შესაძლებელია განხორციელდეს როგორც მასწავლებლის, ისე სტუდენტის მიერ. ეს მეთოდი გვეხმარება თვალსაჩინო გავხადოთ სასწავლო მასალის აღქმის სხვადასხვა საფეხური, დავაკონკრეტოთ, თუ რისი შესრულება მოუწევთ სტუდენტებს დამოუკიდებლად; ამავე დროს, ეს სტრატეგია ვიზუალურად წარმოაჩენს საკითხის/პრობლემის არსს. დემონსტრირება შესაძლოა მარტივ სახეს ატარებდეს, როგორცაა, მაგალითად, მათემატიკური ამოცანის ამოხსნა, მისი საფეხურების დაფაზე თვალსაჩინოდ წარმოდგენის სახით, ან ისეთი რთული სახე მიიღოს, როგორცაა მრავალსაფეხურიანი საბუნებისმეტყველო ექსპერიმენტის ჩატარება.

9. **ინდუქცია, დედუქცია, ანალიზი და სინთეზი.**

- სწავლების **ინდუქციური მეთოდი** განსაზღვრავს ნებისმიერი საგნობრივი ცოდნის ისეთ ფორმას, როდესაც სწავლის პროცესში აზრის მსვლელობა კერძოდან კონკრეტულისაკენ, ფაქტებიდან განზოგადებისაკენ არის მიმართული, ანუ მასალის გადმოცემისას პროცესი მიმდინარეობს კონკრეტულიდან ზოგადისაკენ.
- სწავლების **დედუქციური მეთოდი** განსაზღვრავს ნებისმიერი საგნობრივი ცოდნის გადაცემის ისეთ ფორმას, რომელიც ზოგად ცოდნაზე დაყრდნობით ახალი ცოდნის აღმოჩენის ლოგიკურ პროცესს წარმოადგენს, ანუ პროცესი მიმდინარეობს ზოგადიდან კონკრეტულისაკენ.
- სასწავლო პროცესში **ანალიზის მეთოდი** გვეხმარება სასწავლო მასალის, როგორც ერთი მთლიანის, შემადგენელ ნაწილებად დაშლაში, ამით მარტივდება რთული პრობლემების შიგნით არსებული ცალკეული საკითხების დეტალური გაშუქება.
- **სინთეზის მეთოდი** გულისხმობს შებრუნებულ პროცედურას, ანუ ცალკეული საკითხების დაჯგუფებით ერთი მთლიანის შედგენას.ეს მეთოდი ხელს უწყობს პრობლემის, როგორც მთელის დანახვის უნარის განვითარებას.

10. **ახსნა–განმარტებითი მეთოდი** – ეფუძნება მსჯელობას მოცემული საკითხის ირგვლივ. პროფესორს მასალის გადმოცემისას მოჰყავს კონკრეტული მაგალითი, რომლის დაწვრილებით განხილვაც ხდება მოცემული თემის ფარგლებში.

11. **ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება** – მოითხოვს პროფესორისა და სტუდენტის აქტიურ ჩართულობას სწავლების პროცესში, სადაც განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს თეორიული მასალის პრაქტიკული ინტერპრეტაცია.

12. **ელექტრონული სწავლება** ( -ლეარნინგ) – ეს მეთოდი მოიცავს სწავლების სამ სახეს:

- დასწრებული, როდესაც სწავლების პროცესი მიმდინარეობს პროფესორისა და სტუდენტების საკონტაქტო საათების ფარგლებში, ხოლო სასწავლო მასალის გადაცემა ხორციელდება ელექტრონული კურსის საშუალებით.
- ჰიბრიდული (დასწრებული/დისტანციური), სწავლების ძირითადი ნაწილი მიმდინარეობს დისტანციურად, ხოლო მცირე ნაწილი ხორციელდება საკონტაქტო საათების ფარგლებში.

- მთლიანად დისტანციური სწავლება გულისხმობს სასწავლო პროცესის წარმართვას პროფესორის ფიზიკური თანდასწრების გარეშე. სასწავლო კურსი თავიდან ბოლომდე დისტანციურად ელექტრონული ფორმატით მიმდინარობს.

მოცემული ძირითადი მეთოდების გარდა არსებობს სწავლების სხვა მეთოდიც, რომლის შერჩევა მასწავლებელს შეუძლია კონკრეტული სასწავლო ამოცანიდან გამომდინარე.

დანართი #3 მიღებული ცოდნისა და ხარისხის შეფასების კრიტერიუმები დაგეხმარებათ განსაზღვროთ და დაადგინოთ თქვენი კურსის შესაბამისი შეფასების კრიტერიუმები.

შეფასების ფორმები	შეფასების კრიტერიუმები
ზეპირი გამოკითხვა	<p><b>ზეპირი გამოკითხვის შეფასების კრიტერიუმებია:</b> ანალიზის უნარი, განსახილველ დავალებათა მკაფიოდ ფორმულირებისა და აზრის ადეკვატურად გადმოცემის უნარი.</p>
წერიტი გამოკითხვა	<p>წერიტი გამოკითხვის დროს სტუდენტს წინა კვირაში ახსნილი მასალის ცოდნის დადასტურება. შემოწმება ხდება სხვადასხვა ფორმატით: ტესტი (ღია ან დახურული კითხვები), კაზუსი, საკითხები და სხვა.</p> <p>თუ წერიტი გამოკითხვის შეფასება ხდება საკითხებით (კაზუსებით) და თითოეულ საკითხს (კაზუსს) მინიჭებული აქვს მაქსიმუმ 3 ქულა, სტუდენტის ყოველკვირეული წერიტი გამოკითხვის შეფასების კრიტერიუმებია:</p> <p><b>ა. 2,5 – 3,0 ქულა.</b> პასუხი სრულია. საკითხი ზუსტად და ამომწურავად არის გადმოცემული. იურიდიული ტერმინოლოგია დაცულია. სტუდენტი ზედმიწევნით კარგად ფლობს განვილილ მასალას, ღრმად და საფუძვლიანად აქვს ათვისებული ძირითადი და დამატებითი ლიტერატურა. შეცდომა არ არის. კაზუსი უნაკლოდ არის ამოხსნილი. სამართლებრივი მსჯელობა მაღალ დონეზეა.</p> <p><b>ბ. 2,0 – 2,5 ქულა.</b> პასუხი სრულია, თუმცა შეკვეცილი. ტერმინოლოგიურად გამართულია. არსებითი შეცდომა არ არის. სტუდენტი კარგად ფლობს პროგრამით გათვალისწინებულ განვილილ მასალას; ათვისებული აქვს ძირითადი ლიტერატურა. სამართლებრივი მსჯელობა კარგია.</p> <p><b>გ. 1,5 – 2,0 ქულა.</b> პასუხი არასრულია. იურიდიული ტერმინოლოგია ნაკლოვანია. სტუდენტი ფლობს პროგრამით გათვალისწინებულ მასალას, მაგრამ აღინიშნება ნაკლოვანებები. არის ფრაგმენტული სამართლებრივი მსჯელობა.</p> <p><b>დ. 1,0 – 1,5 ქულა.</b> პასუხი არასრულია. იურიდიული ტერმინოლოგია მცდარია. საკითხის შესაბამისი მასალა გადმოცემულია ნაწილობრივ. სტუდენტს არასაკმარისად აქვს ათვისებული ძირითადი ლიტერატურა. აღინიშნება რამდენიმე არსებითი შეცდომა.</p> <p><b>ე. 0.1 – 1,0 ქულა.</b> პასუხი ნაკლოვანია. იურიდიული ტერმინოლოგია არ არის გამოყენებული. პასუხი არსებითად მცდარია. გადმოცემულია საკითხის შესაბამისი მასალის მხოლოდ ცალკეული ფრაგმენტები.</p> <p><b>ვ. 0 ქულა.</b> პასუხი საკითხის შესაბამისი არ არის ან საერთოდ არაა მოცემული.</p>

<p><b>წერიტი და ზეპირი საშინაო დავალებები</b></p>	<p>სტუდენტმა დამოუკიდებლად უნდა მოამზადოს და წერილობითი ან ზეპირი ფორმით წარმოადგინოს მასალა საკითხის ან პრობლემის შესახებ, პრაქტიკული სავარჯიშოს ან კაზუსის ამოხსნა.</p> <p>არსებობს სხვა ტიპის საშინაო დავალებებიც. მაგალითად, სტუდენტს შეიძლება დაევალოს მოიძიოს ესა თუ ის ინფორმაცია - სტატია, განმარტება, წიგნი, ინტერვიუ, ჩაატაროს გამოკითხვა და სხვა.</p> <p><b>წერიტი საშინაო დავალების შეფასების კრიტერიუმებია:</b></p> <p>მასალის დამუშავების დონე, ინფორმაციის სიზუსტე, მსჯელობის უნარი და სხვ.</p>
<p><b>საპრეზენტაციოდ მომზადებული მოხსენება</b></p>	<p>საპრეზენტაციოდ მომზადებული მოხსენება შესაძლებელია წარმოადგენდეს საკითხის, თემის შინაარსის გადმოცემას და ანალიზს.</p> <p>პრეზენტაცია შესაძლებელია იყოს ინდივიდუალური ან ჯგუფური. ინდივიდუალური პრეზენტაცია გულისხმობს სტუდენტის მიერ დამოუკიდებლად მომზადებული მოხსენების წარმოდგენას.</p> <p>ჯგუფური პრეზენტაცია გულისხმობს სტუდენტების ჯგუფის მიერ დამოუკიდებლად მომზადებული მოხსენების წარმოდგენას.</p> <p><b>პრეზენტაციის შეფასების კრიტერიუმებია:</b></p> <ol style="list-style-type: none"> <li>1. ფორმალური მხარე (ფორმატი), რომლიც შესაძლებელია გაერთიანდეს: რეგლამენტის დაცვა, მასალები, გაფორმების ვიზუალური მხარე და სხვ.</li> <li>2. შინაარსობრივი მხარე - საკითხის დასმა, საკითხის გადაწყვეტის გზა, მიღებული შედეგები და მათ არგუმენტირებული დასაბუთება და სხვ.</li> <li>3. პრეზენტაციის ტექნოლოგია ანუ კონტაქტი აუდიტორიასთან და სხვ.</li> </ol>
<p><b>შუალედური გამოცდა</b></p>	<p>შუალედური შემოწმების დროს სტუდენტს ევალება განვლილი მასალის ცოდნის დადასტურება, შემოწმება ხდება სხვადასხვა ფორმატით: ტესტი (ღია ან დახურული კითხვები), კაზუსი, საკითხები და სხვა.</p> <p>თუ შუალედური გამოცდის შეფასება ხდება საკითხებით (კაზუსებით) და თითოეულ საკითხს (კაზუსს) მინიჭებული აქვს მაქსიმუმ 5 ქულა, სტუდენტის შუალედური გამოცდის შეფასების კრიტერიუმებია:</p>

	<p><b>ა. 5 – 4 ქულა.</b> პასუხი სრულია. საკითხი ზუსტად და ამომწურავად არის გადმოცემული. იურიდიული ტერმინოლოგია დაცულია. სტუდენტი ზედმიწევნით კარგად ფლობს განვლილ მასალას, ღრმად და საფუძვლიანად აქვს ათვისებული ძირითადი და დამატებითი ლიტერატურა. შეცდომა არ არის. კაზუსი უნაკლოდ არის ამოხსნილი. სამართლებრივი მსჯელობა მაღალ დონეზეა.</p> <p><b>ბ. 3 – 4 ქულა.</b> პასუხი სრულია, თუმცა შეკვეცილი. ტერმინოლოგიურად გამართულია. არსებითი შეცდომა არ არის. სტუდენტი კარგად ფლობს პროგრამით გათვალისწინებულ განვლილ მასალას; ათვისებული აქვს ძირითადი ლიტერატურა. სამართლებრივი მსჯელობა კარგია.</p> <p><b>გ. 2 – 3 ქულა.</b> პასუხი არასრულია. იურიდიული ტერმინოლოგია ნაკლოვანია. სტუდენტი ფლობს პროგრამით გათვალისწინებულ მასალას, მაგრამ აღინიშნება ნაკლოვანებები. არის ფრაგმენტული სამართლებრივი მსჯელობა.</p> <p><b>დ. 1 – 2 ქულა.</b> პასუხი არასრულია. იურიდიული ტერმინოლოგია მცდარია. საკითხის შესაბამისი მასალა გადმოცემულია ნაწილობრივ. სტუდენტს არასაკმარისად აქვს ათვისებული ძირითადი ლიტერატურა. აღინიშნება რამდენიმე არსებითი შეცდომა.</p> <p><b>ე. 0.1 – 1 ქულა.</b> პასუხი ნაკლოვანია. იურიდიული ტერმინოლოგია არ არის გამოყენებული. პასუხი არსებითად მცდარია. გადმოცემულია საკითხის შესაბამისი მასალის მხოლოდ ცალკეული ფრაგმენტები.</p> <p><b>ვ. 0 ქულა.</b> პასუხი საკითხის შესაბამისი არ არის ან საერთოდ არაა მოცემული.</p>
საბოლოო გამოცდა	<p>დასკვნითი სემესტრული გამოცდა შეიძლება იყოს წერითი სახით. საბოლოო გამოცდაზე სტუდენტს მოეთხოვება განვლილი მასალის ცოდნის დადასტურება, შემოწმება ხდება სხვადასხვა ფორმატით: ტესტი (ღია/დახურული კითხვები), საკითხები, კაზუსები და სხვა.</p> <p>თუ წერილობითი გამოცდის შეფასება ხდება საკითხებით და თითოეულ საკითხს მინიჭებული აქვს მაქსიმუმ 10 ქულა, სტუდენტის <b>საბოლოო გამოცდის შეფასების კრიტერიუმებია:</b></p> <p><b>ა. 9-10 ქულა:</b> პასუხი სრულია; საკითხი ზუსტად და ამომწურავად არის გადმოცემული; იურიდიული ტერმინოლოგია დაცულია. სტუდენტი ზედმიწევნით კარგად ფლობს პროგრამით გათვალისწინებულ განვლილ მასალას, ღრმად და საფუძვლიანად აქვს ათვისებული როგორც ძირითადი ისე დამხმარე ლიტერატურა.</p> <p><b>ბ. 7-8 ქულა:</b> პასუხი სრულია, მაგრამ შეკვეცილი; ტერმინოლოგიურად გამართულია; საკითხი ამომწურავად არის გადმოცემული; არსებითი შეცდომა არ არის; სტუდენტი კარგად ფლობს პროგრამით გათვალისწინებულ განვლილ მასალას; ათვისებული აქვს ძირითადი ლიტერატურა.</p> <p><b>გ. 5-6 ქულა:</b> პასუხი არასრულია; საკითხი დამაკმაყოფილებლად არის გადმოცემული; იურიდიული ტერმინოლოგია ნაკლოვანია; სტუდენტი ფლობს პროგრამით გათვალისწინებულ მასალას, მაგრამ</p>

	<p>აღნიშნება მცირეოდენი შეცდომები.</p> <p><b>დ. 3-4 ქულა:</b> პასუხი არასრულია; იურიდიული ტერმინოლოგია მცდარია; საკითხის შესაბამისი მასალა გადმოცემულია ნაწილობრივ; სტუდენტს არასაკმარისად აქვს ათვისებული ძირითადი ლიტერატურა; აღნიშნება რამდენიმე არსებითი შეცდომა.</p> <p><b>ე. 1-2 ქულა:</b> პასუხი ნაკლოვანია, იურიდიული ტერმინოლოგია არ არის გამოყენებული, ან არ არის შესაბამისი; პასუხი არსებითად მცდარია. გადმოცემულია საკითხის შესაბამისი მასალის მხოლოდ ცალკეული ფრაგმენტები.</p> <p><b>ვ. 0 ქულა:</b> პასუხი საკითხის შესაბამისი არ არის ან საერთოდ არაა მოცემული.</p>
<p>ზემოთ მოყვანილი გახლავთ შეფასების კრიტერიუმთა მხოლოდ შესაძლო ვარიანტები. საგნის პროფესორი თავად წყვეტს, თუ რა კრიტერიუმით შეაფასებს იგი სასწავლო კურსის შემადგენელ ფორმებს და რამდენ ქულას მიანიჭებს მათ.</p> <p>კონკრეტული სასწავლო კურსის შეფასების კრიტერიუმები უნდა აისახოს შესაბამის სილაბუსში.</p>	



დანართი #4 საკონტაქტო და ინდივიდუალური საათების განაწილების მაგალითი 6 კრედიტიანი საგნის მაგალითზე

1 ECTS კრედიტი უდრის 25\_ან 30 საათს (პროგრამის დატვირთვის გათვალისწინებით), რაც მოიცავს, როგორც სტუდენტის საკონტაქტო დატვირთვის დროს (ლექცია, სემინარი, პრაქტიკუმი და სხვა), ასევე მისი დამოუკიდებელი მუშაობის დროს (შუალედური და საბოლოო შეფასებისათვის, აგრეთვე საშინაო დავალების მომზადებისა და პრეზენტაციისათვის განკუთვნილ Cr.საათს).

მაგალითისათვის მოყვანილია 6 კრედიტიანი საგნის გადანაწილება!  
 ანუ 6 კრედიტი \* 25 საათზე=150 საათი

საკონტაქტო საათების ჩაშლა		
ლექცია	24	კვირაში 2 საათი, 14 კვირა. $12*2=24$
სემინარი	9	9 სემინარი მთლიანი კურსის განმავლობაში
ლექცია/სემინარი/კონსულტაცია	4	საგნის სპეციფიკისა და პროფესორის შეხედულებისამებრ აკადემიური კალენდრის VII და XVI კვირების შეხვედრები შეიძლება დაეთმოს როგორც ლექციას ასევე სემინარს და კონსულტაციას.
პრეზენტაცია	3	სასწავლო კურსის ბოლოს 3 საათიანი/ საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე პრეზენტაციის არ არსებობის პირობებში, აღნიშნული კვირა უნდა დაეთმოს სალექციო სასემინარო მეცადინეობას.
შუალედური/ დასკვნითი გამოცდა სხვა	5	2 საათიანი შუალედური და 3 საათიანი დასკვნითი გამოცდა
		ინდივიდუალურად მუშაობის საათები (დამოკიდებულია საგნის კრედიტის ოდენობაზე)

ზემოთ მოყვანილი ცხრილის მიხედვით 6 კრედიტიანი საგნისათვის დათმობილი 150 საათი შემდეგნაირად გადანაწილდება: 150 საათს – 45 საკონტაქტო საათი = 105 ინდივიდუალურად მუშაობის საათი.

## თავი მეოთხე

### სასწავლო დისციპლინისათვის კოდის მინიჭების წესი

#### კავკასის უნივერსიტეტში სასწავლო დისციპლინისთვის კოდის მინიჭების წესი

1. სასწავლო დისციპლინის კოდი განისაზღვროს შესაბამისი სასწავლო მოდულის მიმნიშნებელი მაქსიმუმ 4 ასოითი სიმბოლოთი და სწავლების დონის, სემესტრის, სკოლის და სასწავლო დისციპლინის აღმნიშვნელი ციფრებით.

1	2
ასოითი ნაწილი	ციფრობრივი ნაწილი

2. სასწავლო დისციპლინის კოდის ასოითი ნაწილის შედგენა:

ა) თითოეული სიმბოლო ჩაიწეროს მთავრული შრიფტით; (მაგ. ENG, FI, LGLS)

ბ) დისციპლინის ასოითი კოდი აღებულ იქნას თანდართული "სასწავლო მოდულების (დისციპლინების) ასოითი კოდებიდან" შესაბამისი მოდულის მიხედვით;

გ) იმ შემთხვევაში თუ საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული დისციპლინა არ აღმოჩნდება თანდართულ ცხრილში მისი ასოითი კოდი შედგეს შესაბამისი მოდულის ინგლისური დასახელების მიხედვით. (მაგ. ADV - რეკლამა/Advertising; CIVL - სამოქალაქო სამართალი/Civil Law)

დ) ზოგადი საუნივერსიტეტო დისციპლინების კოდები განისაზღვროს შემდეგი სახით:

მსოფლიო ისტორიისა და ცივილიზაციის შესავალი - IST 0001

პოლიტოლოგია - POLS 0002

საქართველოს ისტორია - HIST 0003

სოციოლოგია - SOCI 0004

ფილოსოფია - კრიტიკული აზროვნება - PHIL 0005

ფსიქოლოგია - PSYC 0006

ქართული წერისა და მეტყველების კულტურა - SPCH 0007

3. სასწავლო დისციპლინის კოდის ციფრობრივი ნაწილის შედგენა:

a) მიმდევრობის პირველი ციფრი აღნიშნავს სწავლების დონეს.

(მაგ. 1-4 ბაკალავრიატი, 5 მაგისტრატურა, 6 დოქტურანტურა);

b) მიმდევრობის მეორე ციფრი აღნიშნავს სემესტრს.

(მაგ. პირველი სემესტრი - 1, მეორე - 2; სამართლის სკოლაში მესამე სემესტრი - 3);

გ) მიმდევრობის მესამე ციფრი აღნიშნავს სკოლის კოდს:

კავკასიის ბიზნესის სკოლა - "1"

კავკასიის სამართლის სკოლა - "2"

კავკასიის მედიის სკოლა - "3"

კავკასიის ტექნოლოგიების სკოლა - "4"

კავკასიის სახელმწიფო მართვის სკოლა - "5"

კავკასიის ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა სკოლა - "6"

კავკასიის ტურიზმის სკოლა - „7“

კავკასიის ჯანდაცვისა და ეკონომიკის სკოლა - „8“

(მაგ. თუ საგანი ისწავლება ტექნოლოგიების სკოლაში მესამე ციფრი იქნება 4, სახელმწიფო მართვის სკოლაში მესამე ციფრი იქნება -5)

დ) მეოთხე ციფრი არის დისციპლინის აღმნიშვნელი ციფრი. რაც თავის მხრივ გულისხმობს შემდეგს: თუ სემესტრის განმავლობაში სკოლის ფარგლებში ისწავლება რამოდენიმე დისციპლინა ერთი დამავე მოდულიდან, რომელთა ასოითი გამოსახულებაც შესაბამისად ერთმანეთს ემთხვევა, მაშინ მათ განვასხვავებთ რიგითობის მიხედვით.

(მაგ. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სკოლაში სწავლების პირველი წლის I სემესტრში ინგლისური ენის მოდულიდან დაგეგმილია ინგლისური ენის და ინგლისური ლიტერატურის შესწავლა, მათი ერთმანეთისაგან განსხვავება შესაძლებელი იქნება მეოთხე ციფრით. შესაბამისად, ინგლისური ენის კოდი იქნება - 1161, ხოლო ინგლისური ლიტერატურის - 1162.

ანალოგიურად განვასხვავებთ CIVL 5321 და CIVL 5322 სამართლის სკოლის სამაგისტრო პროგრამის მესამე სემესტრის სამოქალაქო სამართლის მოდულის საგნებს "საოჯახო მეურვეობისა და მზრუნველობის სამართალი" და "მემკვიდრეობის სამართალი და სანოტარო სამართლის პრაქტიკუმი").

იმ შემთხვევაში თუ სემესტრში მოდულიდან მხოლოდ ერთი დისციპლინა ისწავლება მეოთხე ციფრი იქნება "0".

(მაგ. ENG 1150 ნიშნავს, რომ სახელმწიფო მართვის სკოლას პირველი წლის 1 სემესტრში დაგეგმილი აქვს მხოლოდ ერთი სახის ინგლისური ენა; CIVL 3120 ნიშნავს, რომ სამართლის სკოლას მესამე წლის 1 სემესტრში დაგეგმილი აქვს სამოქალაქო სამართლის მოდულიდან მხოლოდ ერთი დისციპლინა);

ე) თუ საგანმანათლებლო პროგრამის დისციპლინის სწავლების სემესტრი არ არის ფიქსირებული, მაშინ სემესტრის ან/და სწავლების დონის აღმნიშვნელ ციფრებს ენიჭება მნიშვნელობა "0".

(მაგ. SOCI 0050 ნიშნავს, რომ სახელმწიფო მართვის სკოლას დაგეგმილი აქვს არჩევითი საგნებში სოციოლოგია, რომლის სწავლების წელი და სემესტრი წინასწარ არ არის განსაზღვრული და დამოკიდებულია სტუდენტის არჩევანზე..

ანალოგიურად MK 3010 ნიშნავს, რომ ბიზნესის სკოლა მესამე წელს სტუდენტს სთავაზობს მარკეტინგის მოდულის არჩევით საგანს, რომლის შესწავლის სემესტრიც წინასწარ არ არის დადგენილი;

ასევე IPL 5021 ნიშნავს, რომ სამართლის სკოლა სამაგისტრო პროგრამის სტუდენტს სწავლების განმავლობაში სთავაზობს საერთაშორისო სამართლის საგნების მოდულიდან ერთ-ერთ საგანს.);

სასწავლო მოდულების (დისციპლინების) ასოითი კოდები

AAS Afriacan-American Studies
ACCT Accounting
AE Art Education
AH Art History
AL Applied Linguistics
ANTH Anthropology
ARBC Arabic
ART Art
AS Actuarial Science
ASTR Astronomy
BA Business Administration
BCOM Business Communication
BIOL Biology
BRFV Birth Through Five
BUSA Business Administration Ungrad
CER Ceramics
CHEM Chemistry
CHIN Chinese
CIS Computer Information Systems
COMM Communication
CPI Center Processing Innovation
CIS Computer Information Systems
CLAS Classical Studies
CPS Counseling & Psychological Services
CRJU Criminal Justice
CSC Computer Science
DP Drawing and Painting
ECE Early Childhood Education

ECON Economics
EDBT Education/Business Technology
EDCI Education/Curriculum & Instruction
EDLA Language Arts Education
EDMT Mathematics Education
EDRD Reading Education
EDSC Science Education
EDSS Social Studies Education
EDUC Education
ELMT Library Media Technology
EMBA Executive Master of Business Administration
ENGL English
EPEL EPS/Educational Leadership
EPHE EPS/Higher Education
EPRS EPS/Research
EPS Educational Policy Studies
EPSF Educational Policy Studies/Social Foundations
EPY Educational Psychology
ESL English as a Second Language
EXC Exceptional Children
FI Finance
FILM Film
FOLK Folklore
FORL Foreign Language
FREN French
GEOG Geography
GEOL Geology
GERO Gerontology

GMBA Global Partners MBA
GRD Graphic Design
GRKA Ancient Greek
GRKM Modern Greek
GRMN German
HA Health Administration
HADM Hospitality Administration
HBRB Biblical Hebrew
HBRM Modern Hebrew
HHS Health & Human Sciences
HIST History
HON Honors
IB International Business
ID Interior Design
IEP Intensive English Program
ISCI Integrated Sciences
IT Instructional Technology
ITAL Italian
JAPN Japanese
JOUR Journalism
JST Jewish Studies
KH Kinesiology & Health
KORE Korean
LATN Latin
LAW Law
LGLS Legal Studies
MATH Mathematics
MBA Master of Business Administration
MES Middle East Studies
MGS Managerial Sciences
MIT Managing Information Technology
MK Marketing
MRM Mathematical Risk Management
MSL Military Science Leadership
MTM Music Technology Management
MUA Music Appreciation
MUS Music
NEUR Neosciences Institute
NSCI Natural Sciences
NURS Nursing

NUTR Nutrition
PAUS Public Administration & Urban Studies
PERS Perspectives
PFP Personal Financial Planning
PHIL Philosophy
PH Public Health
PHOT Photography
PHYS Physics
PMBA Professional Master of Business Administration
POLS Political Science
PORT Portuguese
PRSN Persian
PRT Printmaking
PSYC Psychology
PT Physical Therapy
RCLS Recreation & Leisure Studies
RE Real Estate
RELS Religious Studies
RGTE Regents' Test Writing
RGTR Regents' Test Reading
RMI Risk Management & Insurance
RT Respiratory Therapy
RUSS Russian
SCUL Sculpture
SOCI Sociology
SPAN Spanish
SPCH Speech
STAT Statistics
SW Social Work
SWAH Swahili
TEXT Textiles
THEA Theatre
TEXT Textiles
TSLE Teaching ESL/College of ED
TX Taxation
TURK Turkish
WST Women's Studies

## თავი მეხუთე

### კრედიტების დაგროვებისა და ტრანსფერის ევროპული სისტემის ECTS-ის შესახებ

კავკაიის უნივერსიტეტი მიღებულია სტუდენტების მიერ საგნის ასათვისებლად შესარულებელი სამუშაოს მოცულობის გაანგარიშება კრედიტების დაგროვებისა და ტრანსფერის ევროპული სისტემის ECTS-ის მიხედვით. სტუდენტის სასწავლო საქმიანობა (სტუდენტის დატვირთვა) შედგება შემდეგი კომპონენტებისგან:

- ლექციებზე, სემინარებზე, პრაქტიკულ და ლაბორატორიულ მეცადინეობებზე დასწრება;

- დამოუკიდებელი მეცადინეობა;

- გამოცდების მომზადება-ჩაბარება;

- სასწავლო, სამეცნიერო და საწარმოო პრაქტიკა;

- სასწავლო-სამეცნიერო ნაშრომზე (მოხსენება კონფერენციაზე, სამეცნიერო წერილი, საპატენტო განაცხადი, საბაკალავრო ნაშრომი, სამაგისტრო ნაშრომი, სადოქტორო დისერტაცია) მუშაობა;

- სასწავლო-სამეცნიერო ნაშრომის დაცვა და გამოყენება.

სტუდენტთა საქმიანობის შესაფასებლად გამოიყენება კრედიტი – ერთეული, რომელიც ასახავს სტუდენტის მიერ საგნის ასათვისებლად შესასრულებელი სამუშაოს მოცულობას, გამოხატულს დროის ერთეულში.

საკრედიტო სისტემის შესაბამისად, სტუდენტის დატვირთვა ერთი აკადემიური წლის განმავლობაში მოიცავს საშუალოდ 60 კრედიტს, რაც შეესაბამება სასწავლო საქმიანობის 1500-1800 ასტრონომიულ საათს, ხოლო 1 კრედიტი მოიცავს სასწავლო საქმიანობის (სტუდენტის დატვირთვას) 25-30 ასტრონომიული საათის განმავლობაში.

ერთ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ერთი და იგივე მოდული ან საგანი ყველა პროგრამის სტუდენტისთვის მოიცავდეს თანაბარი რაოდენობის კრედიტებს.

კრედიტთა განაწილება სხვადასხვა კომპონენტებს შორის უნდა ეფუძნებოდეს საშუალო აკადემიური მიღწევების მქონე სტუდენტის დატვირთვის რეალურ შეფასებას, რომელიც საჭიროა ყოველი კომპონენტისთვის დადგენილი სწავლის შედეგის მისაღწევად. კრედიტის განაწილების სისწორე უნდა შემოწმდეს სტუდენტის რეალური დატვირთვის შესახებ სრული ინფორმაციის შეგროვებითა და ანალიზით, რაშიც პროფესორ მასწავლებლებთან ერთად სტუდენტებიც უნდა იღებდნენ მონაწილეობას.

კრედიტი არ შეიძლება იქნას გაანგარიშებული მხოლოდ სტუდენტის მიერ პროფესორ-მასწავლებლებთან სასწავლო გარემოში გატარებული საათების (საკონტაქტო საათების) მიხედვით.

დააფიქსირეთ სასწავლო კურსის კრედიტების რაოდენობა ისე, რომ სააუდიტორიო და დამოუკიდებელ მუშაობაზე გათვალისწინებული საათების რაოდენობას შორის იყოს ოპტიმალური თანაფარდობა. უნივერსიტეტში სემესტრის ხანგრძლივობა 19 კვირაა, ხოლო ერთი კრედიტი ტოლია 25 – 30 საათის.

## თავი მეექვსე

### კვალიფიკაციის დესკრიპტორები

1. კვალიფიკაციის დესკრიპტორი განსაზღვრავს შესაბამის საფეხურზე/დონეზე მისაღწევ ზოგად სწავლის შედეგებს, მკაფიოდ განასხვავებს ერთმანეთისაგან სხვადასხვა საფეხურის კვალიფიკაციებს და უზრუნველყოფს მათ შორის ლოგიკურ კავშირს.

2. კვალიფიკაციების დესკრიპტორს საფუძვლად უდევს „დუბლინის დესკრიპტორის“ ხუთი ელემენტი:

1. დარგობრივი ცოდნა და გაცნობიერება
2. დარგობრივი ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარები/ პრაქტიკული უნარები
3. არგუმენტირებული დასკვნის გაკეთების უნარი
4. კომუნიკაციის უნარი
  - ა) მშობლიურ და უცხო ენაზე კომუნიკაციის უნარი
  - ბ) საინფორმაციო საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების უნარი
5. სწავლის უნარი

3. კვალიფიკაციის დესკრიპტორი წარმოადგენს საფეხურის შესაბამის განზოგადებულ სწავლის შედეგებს. კვალიფიკაციის დესკრიპტორში აღწერილი უნარების გარდა შესაბამისი დარგობრივი დოკუმენტი (დარგობრივი ათვლის წერტილები), დამატებით შეიძლება ითვალისწინებდეს დასაქმებისათვის აუცილებელ სხვა ტრანსფერულ კომპეტენციებსაც.

4 დარგობრივი ათვლის წერტილი არის დოკუმენტი, რომელიც აღწერს იმ მინიმალურ კომპეტენციებს, რომელიც უნდა ქონდეს შესაბამისი საფეხურისა და სპეციალობის კვალიფიკაციის მფლობელს.

5. უმაღლესი განათლების კვალიფიკაციების ჩარჩოსა და შესაბამის დარგობრივ დოკუმენტზე დაყრდნობით ყველა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება საკუთარი მისიისა და მიზნებიდან გამომდინარე ახდენს განზოგადებული სწავლის შედეგების დაკონკრეტებას საგანმანათლებლო პროგრამაში.

6. უმაღლესი განათლების კვალიფიკაციების ჩარჩოს შესაბამისი კვალიფიკაციების გაცემა ხორციელდება, მხოლოდ საგანმანათლებლო პროგრამის მიერ პროგრამული აკრედიტაციის მიღების შემდეგ და მიეთითება დიპლომის დანართში.

7. ახალი კვალიფიკაციებისა და შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების შემოღება ხორციელდება მხოლოდ აკრედიტაციის ცენტრის მიერ საგანმანათლებლო პროგრამის დადგენილი პროცედურების შესაბამისად შემოწმების შემდეგ.

8. უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის ფარგლებში არსებული კვალიფიკაციის (დიპლომირებული სპეციალისტი) დესკრიპტორი

<b>დარგობრივი ცოდნა და გაცნობიერება</b>	გააჩნია დარგის ძირითადი/ საბაზო პრინციპების ცოდნა. იცნობს პროფესიულ სფეროში მუშაობის მეთოდებს; კარგად აქვს გაცნობიერებული პროფესიული პასუხისმგებლობა და სათანადო ეთიკური ნორმები.
<b>დარგობრივი ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარები</b>	შეუძლია პროფესიულ სფეროში პრობლემების ამოცნობა და მათი გადაჭრა სტანდარტული, წინასწარ აპრობირებული მეთოდების გამოყენებით. მუშაობის დროს იცავს სათანადო ეთიკურ ნორმებს
<b>არგუმენტირებული</b>	დამოუკიდებლად შეუძლია მონაცემების იდენტიფიცირება და /ან

დასკვნის გაკეთების უნარი	სიტუაციების ანალიზი დარგობრივი სფეროსათვის შესაბამისი მეთოდების გამოყენებით; შეუძლია პროფესიულ სფეროში, თავისი პასუხისმგებლობის ფარგლებში, პრობლემების ძირითადი ელემენტების განსაზღვრა და მათი გადაჭრისათვის სათანადო ცოდნისა და მეთოდების გამოყენება
კომუნიკაციის უნარი	<ul style="list-style-type: none"> <li>- შეუძლია დისკუსიაში პროფესიულ დონეზე მონაწილეობა.</li> <li>- უცხო ენის ცოდნა 2 დონე – დამოუკიდებელი მოსაუბრე (დარგობრივ სფეროში)</li> </ul> <p><b>კომუნიკაცია</b> შეუძლია ნაცნობ თემებზე (პროფესია, სწავლა, თავისუფალი დრო) მკაფიოდ წარმართული საუბრის გაგება; შეუძლია გამოცდილების, მოვლენების აღწერა და თავისი აზრების დასაბუთება.</p> <p><b>კითხვა</b> – შეუძლია მარტივი ენით დაწერილი ტექსტების გაგება, რომლებიც მის პროფესიულ სფეროს ეხება.</p> <p><b>წერა</b> – შეუძლია ნაცნობ თემებზე წერა, საკუთარი გამოცდილებისა და შთაბეჭდილების აღწერა</p> <ul style="list-style-type: none"> <li>- იცნობს და თავისუფლად იყენებს თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს (ICT), მათ შორის დარგობრივ სფეროში; შეუძლია ახალი საინფორმაციო ტექნოლოგიების დამოუკიდებლად ათვისება</li> </ul>
სწავლის უნარი	მინიმალური ხელმძღვანელობის პირობებში შეუძლია საკუთარი სწავლის პროცესის მართვა.

8. უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის კვალიფიკაციის დესკრიპტორი

დარგობრივი ცოდნა და გაცნობიერება	გააჩნია დარგობრივი სფეროს ფართო და გაღრმავებული ცოდნა. იცნობს სათანადო ტერმინოლოგიას და დარგობრივ სფეროში მუშაობის მეთოდებს; იცნობს დარგობრივი სფეროს მთავარ პრინციპებს, თეორიებსა და კონცეფციებს და ესმის ცოდნის გაღრმავების აუცილებლობა. კარგად აქვს გაცნობიერებული პროფესიული პასუხისმგებლობა და სათანადო ეთიკურ ნორმები
დარგობრივი ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარები	შეუძლია დარგობრივ სფეროში კომპლექსური პრობლემების ამოცნობა/იდენტიფიცირება და მათი გადაჭრა შესაბამისი, მათ შორის ზოგიერთი გამორჩეული/ახალი, მეთოდების და ეთიკური ნორმების გამოყენებით; შეუძლია კვლევითი და/ან პრაქტიკული ხასიათის სამუშაოს შესრულება წინასწარ შეთანხმებული რეკომენდაციების/ინსტრუქციების მიხედვით.
არგუმენტირებული დასკვნის გაკეთების უნარი	დამოუკიდებლად შეუძლია ახალი და განყენებული მონაცემებისა და /ან სიტუაციების ანალიზი დარგობრივი სფეროსათვის შესაბამისი მეთოდების გამოყენებით. მინიმალური ზედამხედველობის/ ხელმძღვანელობის პირობებში შეუძლია აბსტრაქტული მონაცემებისა და კონცეფციების ტრანსფორმაცია მოცემული საჭიროებისათვის და პრობლემის გადაჭრის ახალი გზების შემუშავება; შეუძლია მონაცემების ინტერპრეტაცია.
კომუნიკაციის	- შეუძლია დისკუსიაში პროფესიულ დონეზე მონაწილეობა და



<p><b>უნარი</b></p>	<p>პროექტის/ნაშრომის დეტალური და მომცველი წერილობითი ანგარიში მომზადება.</p> <ul style="list-style-type: none"> <li>- უცხოენის ცოდნა 2 დონეზე – დამოუკიდებელი მოსაუბრე (დარგობრივ სფეროში)</li> </ul> <p><b>კომუნიკაცია</b>— შეუძლია გაიგოს კონკრეტული და აბსტრაქტული თემების მქონე რთული ტექსტების არსებითი შინაარსი, ესმის თავისი სპეციალობის სფერო და შეუძლია დარგობრივი დისკუსიის წარმართვა; შეუძლია სპონტანური და შეუფერხებელი საუბარი, ნორმალური დიალოგის წარმართვა ენის მატარებელთან ორივე მოსაუბრის მხრიდან დიდი ძალისხმევის გარეშე; შეუძლია მკაფიოდ და დეტალურად ისაუბროს სხვადასხვა თემებზე, განმარტოს გარკვეული აქტუალური საკითხისადმი დამოკიდებულება და მიუთითოს სხვადასხვა შესაძლებლობების უპირატესობები და ნაკლოვანი მხარეები.</p> <p><b>კითხვა</b> – შეუძლია დამოუკიდებლად და სწრაფად სხვადასხვა თემებზე დაწერილი ტექსტების კითხვა; ინფორმაციის სხვადასხვა წყაროების გამოყენება; შესაძლოა უჭირდეს იშვიათად გამოყენებადი იდიომების გაგება.</p> <p><b>წერა</b> – შეუძლია წერილობით მკაფიოდ ჩამოაყალიბოს თავის აზრები და შეხედულებები სხვადასხვა თემებზე; შეუძლია ანგარიშის და თხზულების დაწერა, არგუმენტების მოყვანა სხვადასხვა შეხედულებების საწინააღმდეგოდ ან მხარდასაჭერად.</p> <ul style="list-style-type: none"> <li>- იცნობს და თავისუფლად იყენებს თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს (ICT), მათ შორის დარგობრივ სფეროში; შეუძლია ახალი საინფორმაციო ტექნოლოგიების დამოუკიდებლად ათვისება</li> </ul>
<p><b>სწავლის უნარი</b></p>	<p>შეუძლია საკუთარი სწავლის პროცესის მართვა რესურსების ფართო სპექტრის გამოყენებით; საკუთარი სწავლის შეფასება და შემდგომი სწავლის საჭიროებების განსაზღვრა</p>

9. უმაღლესი განათლების მეორე საფეხურის კვალიფიკაციის დესკრიპტორი

<p><b>დარგობრივი ცოდნა და გაცნობიერება</b></p>	<p>გააჩნია დარგობრივი სფეროს უახლესი თეორიული და კვლევაზე დაფუძნებული ღრმა და სისტემური ცოდნა, მათ შორის გამოყენებით და მომიჯნავე სფეროებში. <u>სრულად ფლობს დარგისათვის სპეციფიკურ მეთოდებს</u>; აცნობიერებს დარგისათვის დამახასიათებელ ეთიკურ პრობლემებს და შეუძლია ეთიკური დილემების გადაჭრა.</p>
<p><b>დარგობრივი ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარები</b></p>	<p>შეუძლია კომპლექსური პრობლემის გადაჭრა დამოუკიდებლად და ორიგინალური გზით; შეუძლია ამოცანათა დაგეგმვა და განხორციელება დამოუკიდებლად პროფესიულ დონეზე; შეუძლია რთულ, მოულოდნელ და სპეციალიზებულ კონტექსტში მოქმედება; იცნობს საუკეთესო პრაქტიკის გამოყენების წესებს. მუშაობს ზუსტად და ეფექტურად; შეუძლია უნარების ადაპტირება ან ახალი უნარებისა და /ან პროცედურების განვითარება ახალი სიტუაციებისათვის. ეძებს ამოცანების გადაწყვეტის ახალ /ორიგინალურ გზებს; დამოუკიდებლად გეგმავს და ახორციელებს კვლევას უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით</p>
<p><b>არგუმენტირებული დასკვნის გაკეთების უნარი</b></p>	<p>კრიტიკული მიდგომის გათვალისწინებით შეუძლია რთული, არასრული და/ან წინააღმდეგობრივი მონაცემების/სფეროების ანალიზი და ანალიზის შედეგის ეფექტური მიწოდება. შეუძლია კრიტიკული</p>

	<p>მიდგომის გათვალისწინებით ინფორმაციის ინოვაციური სინთეზი, დარგობრივი სფეროს უახლესი მონაცემების გამოყენებით; შეუძლია არასრულ და შეზღუდულ ინფორმაციაზე დაყრდნობით ჩამოაყალიბოს მოსაზრებები, განსაზღვროს პრობლემები და მათი გადაჭრისათვის საჭიროების შემთხვევაში დამატებითი რესურსი გამოიყენოს</p>
<b>კომუნიკაციის უნარი</b>	<p>- შეუძლია აკადემიურ და პროფესიულ საზოგადოებაში დამაჯერებელი, მკაფიო, დამოუკიდებელი და კომპეტენტური კომუნიკაცია.</p> <p>- უცხო ენის ცოდნა C1 დონე</p> <p><b>კომუნიკაცია</b> – შეუძლია რთული, ვრცელი ტექსტების გაგება და მათში არაპირდაპირ გადმოცემული ინფორმაციის ამოცნობა. შეუძლია დაუბრკოლებლად საუბარი ისე, რომ საჭირო სიტყვებისა და ფრაზების მოძიებას დრო არ დაუთმოს. თავისუფლად იყენებს ენას სოციალურ, აკადემიურ და პროფესიულ თემებზე სასაუბროდ.</p> <p><b>კითხვა</b> – შეუძლია ვრცელი, კომპლექსური ტექსტების გაგება ყველა დეტალის ჩათვლით, იმის მიუხედავად, ეხება ის მის პროფესიულ თუ სხვა თემას. შესაძლოა დასჭირდეს განსაკუთრებით რთული ადგილების გადაკითხვა.</p> <p><b>წერა</b> – შეუძლია მკაფიოდ სტრუქტურირებული ტექსტის დაწერა კომპლექსურ თემებზე თხზულების, წერილის ან ანგარიშის ფორმატში; მთავარი საკითხების გამოყოფა და შესაბამისი სტილის შერჩევა</p> <p>- იცნობს და თავისუფლად იყენებს თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს (ICT), ფლობს მულტიმედია კომპეტენციას, რომელიც ხელს უწყობს მათ შემოქმედებით და კრიტიკულ გამოყენებას დარგისათვის სპეციფიკურ კონტექსტში</p>
<b>სწავლის უნარი</b>	<p>აქვს უნარი თავად დაგეგმოს და შეასრულოს სასწავლო პროცესის მოთხოვნები, ადეკვატურად აფასებს საკუთარი სწავლის პროცესს და ესმის, როგორ გააუმჯობესოს მიღებული შედეგი</p>

10 . უმაღლესი განათლების მესამე საფეხურის კვალიფიკაციის დესკრიპტორი

<b>დარგობრივი ცოდნა და გაცნობიერება</b>	<p>გააჩნია ფართო, ღრმა და სისტემური ცოდნა, რომელიც დარგობრივ სფეროში საერთაშორისო პუბლიკაციისათვის აუცილებელი სტანდარტის დონეზე მუშაობის საშუალებას იძლევა. შეუძლია ეთიკური დილემების ანალიზი, მართვა და მათი გადაჭრა. სრულად ფლობს დარგისათვის სპეციფიკურ (თეორიულ და კვლევით) მეთოდებს</p>
<b>დარგობრივი ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარები</b>	<p>პროფესიულ დონეზე ფლობს კვლევის ყველა ძირითად მეთოდს, ასევე შეუძლია შეიმუშავოს ახლებური კვლევითი და ანალიტიკური მიდგომები, რომლებიც ახალი ცოდნის შექმნაზე ორიენტირებული და აისახება საერთაშორისო რეფერირებად პუბლიკაციებში. დამოუკიდებლად გეგმავს, ახორციელებს და ზედამხედველობს ინოვაციურ კვლევას.</p>

<p><b>არგუმენტირებული დასკვნის გაკეთების უნარი</b></p>	<p>კრიტიკული მიდგომის გათვალისწინებით შეუძლია რთული, არასრული და წინააღმდეგობრივი მონაცემების ანალიზი. შეუძლია ახალი მიდგომების სინთეზი, რითაც დარგობრივ სფეროში ახალი მეტოლოლოგიის შემუშავება/განვითარებას უწყობს ხელს; აქვს უნარი, პრობლემის გადაჭრისათვის დამოუკიდებლად მიიღოს სწორი და ეფექტური გადაწყვეტილება და საჭიროების შემთხვევაში გამოიყენოს დამატებითი რესურსები</p>
<p><b>კომუნიკაციის უნარი</b></p>	<ul style="list-style-type: none"> <li>- შეუძლია რთული და სადავო ინფორმაციის მკაფიო და ეფექტური გადაცემა სპეცილისტებისა და არასპეციალისტებისათვის ამ უკანასკნელთა მომზადების /მოუმზადებლობის გათვალისწინებით</li> <li>- უცხო ენის ცოდნა სულ მცირე C 1 დონეზე –</li> <li>- იცნობს და თავისუფლად იყენებს თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს (ICT), ფლობს მულტიმედია კომპეტენციას, რომელიც ხელს უწყობს მათ შემოქმედებით და კრიტიკულ გამოყენებას დარგისათვის სპეციფიკურ კონტექსტში</li> </ul>
<p><b>სწავლის უნარი</b></p>	<p>ადეკვატურად აფასებს, გეგმავს და ახორციელებს საკუთარი სწავლის პროცესს და იყენებს სასწავლო რესურსების სრულ სპექტრს; შეუძლია სხვების სწავლის პროცესის დაგეგმვა და მართვა</p>

## თავი მეშვიდე

### სტუდენტის მიერ ლექტორის შეფასების ფორმა

ბთხოვთ, მოგვაწოდოთ კვლევის პროფესიული და

პროფესიული თვისებების თქვენთვის უფასო.

კარგად გაიაზრეთ თითოეული კითხვა და ობიექტურად მიუთითეთ პასუხი.

გათვალისწინეთ, რომ თქვენი თანადგომა დიდად წაადგება სასწავლო პროცესის

შემდგომ სრულყოფას და თავად კონკრეტული პედაგოგის მომავალ საქმიანობას.

ლექტორი \_\_\_\_\_ სკოლა \_\_\_\_\_ კურსი \_\_\_\_\_ ჯგუფი \_\_\_\_\_

საგანი \_\_\_\_\_

<p>კითხვარი კონფიდენციალურია</p> <p>შეფასებათა სკალა 6 ბალიანია</p> <p>გთხოვთ გადახაზოთ თქვენთვის მისაღები ნიშანი</p>						<p>მიჭირს შეფასება</p>
საგნის მიზნები და ამოცანები, ცოდნის შეფასების სისტემა, ფორმები და კრიტერიუმები თავიდანვე სილაბუსით მკაფიოდ იყო ახსნილი						
მეცადინეობები კარგად აქვს დაგეგმილი. თანმიმდევრულად, ლოგიკურად მიჰყვება სილაბუსს, წარმოადგენს იდეებსა და კონცეფციებს, იძლევა რთული მომენტების ამომწურავ განმარტებას						
მეცადინეობაზე თემის ირგვლივ მოხმობილია უახლესი მასალა						
ლექციაზე ეფექტურად იყენებს თვალსაჩინოებას (დაფა, სლაიდები, კომპიუტერი, ვიდეო-მასალა)						
საშინაო დავალებები კურსის მიზნების შესაბამისი, მკაფიოდ განსაზღვრული და შესრულებადია						
მეცადინეობაზე ახერხებს შეაფასოს ჯგუფის მიერ მიცემული დავალების შესრულების ხარისხი						
საკონტროლო შემოწმების (ტესტირების) საკითხები სრულად შეესაბამება გავლილ პროგრამას, მისაღებია მოცულობითა და სირთულით						
ახდენს კოლოკიუმების, საკონტროლო წერების შეჯამებასა და ანალიზს						
თემის შეჯამებისას ყველა აქცენტი ზუსტად და სტუდენტებისათვის ზედმიწევნით გასაგებადაა გაკეთებული						
შესწავლილ მასალას უკავშირებს მომავალ პროფესიულ და საზოგადოებრივ საქმიანობას ლექცია და პრაქტიკული მუშაობა ერთმანეთს ეხამებოდა						
საგანი იწვევს ინტერესს, კურსის ინტელექტუალური დონე დამაკმაყოფილებელია						

კარგად მომზადებული და მომხსოვნია საკუთარი თავის მიმართ									
ფლობს აუდიტორიას, იოლად შეუძლია მასთან ურთიერთობა, ადვილად ინტერესს საგნისადმი									
აქვს ორატორული ნიჭი (დიქცია, მეტეფეულების კულტურა, თხრობის ნორმალური ტემპი)									
გვერდს არ უვლის სადაო საკითხებს, არ ერიდება აუდიტორიაში დისკუსიას, ყურადღებითა და ზუსტად პასუხობს შეკითხვებს, განიხილავს იმ მოსაზრებებსაც, რომლებიც მისთვის მიუღებელია									
პატივს სცემს თავის საქმეს, პროფესიონალია, გულწრფელად არის დაინტერესებული სტუდენტების მომზადების ხარისხით									
მისი დამოკიდებულება საქმისადმი აიძულებს სტუდენტს თავადაც პასუხისმგებლობით მოეკიდოს საგანს									
წამოჭრილი კითხვების გასარკვევად შეგვიძლია აუდიტორიის გარეთ მივმართოთ და მივიღოთ პასუხი, ურთიერთობა მასთან იოლია, მაგრამ ზღვარი არ იშლება									
კეთილმოსურნე და ტაქტიანია სტუდენტებთან დამოკიდებულებაში. შეუძლია მათი პრობლემების გააზრება და საჭიროების შემთხვევაში მხარდაჭერა									
სტუდენტი მისთვის პიროვნებაა, ანგარიშს უწევს მის პრინციპებს და მოსაზრებებს, აფიქრებს მისი მომავალი									
დაინტერესებულია სტუდენტების წარმატებით, ახალისებს მათ კარგ მუშაობას									
მოითხოვს შემოქმედებით, ორიგინალურ აზროვნებას და აფასებს მას									
მომხსოვნია, მკაცრი, მაგრამ ობიექტური, შეფასებებს სვამს სამართლიანად									
თავის მიმართ განაწყოებს სტუდენტებს მაღალი ინტელექტით, დახვეწილი ქცევებითა და გარეგნობით									
ისურვებდით თუ არა მის შესვლას თქენი შვილის აუდიტორიაში?									

ლექტორის, საგნის და ადმინისტრაციის ზოგადი შეფასებები და რეკომენდაციები

ლექტორი	ძლიერი მხარე	სუსტი მხარე	რეკომენდაციები
საგანი			
ადმი ნისტ რაცი			

საშუალოდ რა დროს ხარჯავთ ყოველკვირეული ყოველი დავალების შესასრულებლად?.....			რა ნიშანს ელით?

**თავი მერვე**

*ლექტორისა და ლექციის შეფასება კოლეგების მიერ*

შეფასება ატარებს დახურულ ხასიათს, გამოიყენება სამსახურებრივი დანიშნულებით. ლექტორი სასწავლო კურსის დასრულებამდე ვერ გაეცნობა გამოკითხვის შედეგებს.

ლექტორი \_\_\_\_\_ სკოლა \_\_\_\_\_ სწავლების წელი \_\_\_\_\_ ჯგუფი \_\_\_\_\_

სასწავლო კურსის დასახელება \_\_\_\_\_

თარიღი ----- რიცხვი ---- თვე ----- წელი

<p><b>შეფასება 10 ბალიანია</b>  <b>გთხოვთ, კომენტარის გაკეთების შემდეგ,</b>  <b>დააფიქსიროთ თქვენთვის მისაღები ქულა</b></p>	<p>კომენტარი</p>	<p>ბალიან კარგი 9-10</p>	<p>კარგი 6-7-8</p>	<p>საკმარისი 4-5</p>	<p>ცუდი 2-3</p>	<p>ბალიან ცუდი 1</p>
<p>ლექტორმა დროულად დაიწყო და დროულად დაასრულა ლექცია</p>						
<p>ლექტორი არის მომზადებული ლექციისათვის და საინტერესოდ ხსნის მასალას</p>						
<p>ლექტორს მოჰყავს მაგალითები პრაქტიკიდან</p>						
<p>სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა დასვან კითხვები და მონაწილეობა მიიღონ დისკუსიაში. მეცადინეობა ატარებს ინტერაქტიულ ხასიათს.</p>						
<p>ლექტორი შეკითხვებს პასუხობს ამომწურავად</p>						
<p>ლექტორი ხელს უწყობს სტუდენტებს ჩამოუყალიბდეთ დამოუკიდებელი ანალიტიკური აზროვნება</p>						
<p>ლექტორი იყენებს ყველა შანსს ახალი მასალა დაუკავშიროს უკვე განვლილ მასალას და განამტკიცოს სტუდენტთა ცოდნა</p>						
<p>ლექტორი სტუდენტებს მოკლე ცნობას აწვდის შემდგომში განსახილველი თემების შესახებ და თხოვს ინფორმაციულად მოემზადონ შემდეგი ლექციისათვის</p>						
<p>ლექციაზე მუდგანდება მოცემულ საგანში სტუდენტთა მზაობა ანუ შესაბამისად ლექტორის საქმიანობის ნაყოფიერება</p>						
<p>ლექტორის მიერ მოცემული დავალებები არის გასაგები და სირთულით შეესაბამება სტუდენტების შესაძლებლობებს</p>						
<p>ლექტორის მიერ ახსნილი სასწავლო მასალა შეესაბამება სილაბუსის კალენდარს და თემატიკას</p>						

ლექტორი ლექციის ასსნისას იყენებს „ფაუერ-პოინტის“ პროგრამა						
ლექტორი ეფექტურად იყენებს თვალსაჩინოებას (დაფა, სლაიდები, ვიდეომასალა, ინტერნეტი)						
ლექციის ხარისხს ვაფასებ		იქ	იქ	იქ	იქ	იქ

საერთო შეფასება -----

1. დამსწრე ლექტორის (სპეციალისტის) დამატებითი წინადადებები და შენიშვნები

-----  
-----

2. ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის დამატებითი წინადადებები

-----  
-----

3. პროგრამის დირექტორის დამატებითი წინადადებები და შენიშვნები

-----

4. დეკანის დამატებითი წინადადებები და შენიშვნები

-----

დამსწრე ლექტორი(სპეციალისტი)

ხელმოწერა/ თარიღი

ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის წარმომადგენელი

ხელმოწერა/ თარიღი

აკადემიური პროგრამის დირექტორი  
დეკანი

ხელმოწერა/ თარიღი

ხელმოწერა/ თარიღი

- შევსებული ფორმა კავკასიის უნივერსიტეტის სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურებს გადაეცემა ელექტრონული ვერსიის სახით, ლექციაზე დასწრებიდან 3 დღეში. დედანი ინახება შესაბამისი აკადემიური პროგრამის დირექტორთან.



თავი მეცხრე

ლექციების განრიგი

*ლექციების განრიგი*

პირველი ლექცია	9:00-9:55
	10:05-11:00
	11:10-12:00
მეორე ლექცია	12:20-13:15
	13:25-14:20
	14:30-15:20
მესამე ლექცია	15:40-16:35
	16:45-17:40
	17:50-18:40
მეოთხე ლექცია	19:00-19:55
	20:05-21:00
	21:10-22:00